საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 8 ივნისი. 2017 წ. №114 (8251), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მიწაზე ეროვნული თანხმობა კონსტიტუციამ უნდა გადაწყვიტოს

③

②

იანოშ ჰერმანი:

საქართველოს ამოცანაა, სამართლე-ბრივად დაუახლოვდეს ევროკავშირს

დაბოლილები

„ბირჩი“ გასაბერ ეკლესიას ყიდულობს

„ბირჩის“ რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“ გასაბერი ეკლესიის შეძენას გეგმავს. ამის შესახებ „ბიბლიური თავისუფლება“ Facebook გვერდზე ავრცელებს ინფორმაციას და მხარდამ-ჭერებს დახმარებას სთხოვს:

ბიბლიური თავისუფლების იერარქების ლოცვა-კურთხევით გადაწყდა საღვთო მსახურებისთვის შე-ვიძინოთ ეკლესია, რომლის გამოყენების შესაძლებლო-ბა უნდა მიეცეს ბიბლიური თავისუფლების 500-მდე მღვდელმსახურს.

რაციონალური მსჯელობის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ეკლესია იყოს მობილური და იაფი. ბაზარზე არსებული არჩევანიდან ასეთია გასაბერი ეკ-ლესია.

პროექტის რისკი: ულმერთო და შურიანი ადამია-ნები სადგისით, რაც დაძლევადია ვულკანიზაციების არსებობის პირობებში.

SWOT ანალიზზე დაყრდნობით გადაწყდა შე-ვიძინოთ გასაბერი ეკლესია.

პროექტის ღირებულება შეადგენს $3000.

ანგარიშის ნომერი: GE60TB7791136080100005

შეეწიეთ ეკლესიას ამ საშვილიშვილო საქმის აღსას-რულებლად“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

④ ⑤

„სწორედ თქვენისთანები აზიანებენ ქვეყნის მომავალს!“

ირაკლი ბოკუჩავა მკითხველს „კუკუდამალობანას“ ეთამაშება

ირაკლი სესიაშვილი:

⑤

დღევანდელი უშიშროების საბჭო არის მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ორგანო და მეტი არაფერი

⑫

ქართველ მხატვართა წარმატება ამერიკაში

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ კახეთში სეტყვასაშიში ღრუბლები გაანეიტრალა

სსსტც „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტე-მამ 6-7 ივნისს კახეთის რეგიონში სამხრეთ-დასავლე-თის მიმართულებიდან შემოსული ფრონტალური ღრუბლის მასები წარმატებით დაამუშავა, რისთვისაც სისტემამ 80 ერთეულამდე რაკეტა გაისროლა.

ჩატარებული ზემოქმედების შედეგად საგარეჯოს, ახმეტის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში ნალექის უდიდესი ნაწილი წვიმის სახით ჩამოიცალა.

ტერაქტებზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო

თავდასხმები პარლამენტის შენობასა და აიათოლა ჰომენეის მავზოლეუმზე გუშინ დილით განხორციელ-და. შეიარაღებული პირები საკანონმდებლო ორგანო-ში შეიჭრნენ და ცეცხლი გახსნეს. ერთ-ერთმა მათგანმა, სავარაუდოდ, თავი აიფეთქა. მეორე თავდასხმა პარლა-მენტიდან 20 კილომეტრში ჰომენეის მავზოლეუმთან განხორციელდა. ტერაქტში ქალიც მონაწილეობდა, რომელმაც შაჰიდის ქამარი მოიყვანა მოქმედებაში. ტერაქტს, სულ მცირე, 7 ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაშავებულებიც. სა-მართალდამცველებმა, სავარაუდოდ, 2 თავდამსხმელის დაკავება შეძლეს.

ოს მესაზღვრეთა თანამედროვე „ლეკიანობა“

დუშეთის რაიონში, სოფელ გრემისხევში, ბურღულთან ახლოს საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს. ნუკრი თვაური, აკაკი პაპუკაშვილი, ზა-ურ გიგაური და ზურაბ გედევანიშვილი ცხინვა-ლის მილიციის იზოლატორში გადაიყვანეს. არ-სებული ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის „ხელი-სუფლება“ ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ედავება. 4 პირის დაკავებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ადასტურებენ.

უკრაინის თავდაცვის მინისტრი გვეწვია

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით უკრაინის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი სტეფან პოლტორაკი იმყოფება. უკრაინელ კოლეგას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მასპინძლობს.

ოფიციალური დახვედრის ცერემონიალი ეროვნული გვარდიის სამხედრო ორკესტრის მიერ უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულების ფონზე გაიმართა, რის შემდეგაც ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა შეხვედრა გამართეს. ყურადღება ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების გაძლიერების მნიშვნელობაზე გამახვილდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო შეშფოთება გამოხატა და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში მშვიდობა და წესრიგი კვლავ დამყარდება. საქართველოს სახელით, ლევან იზორიამ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა.

მინისტრებმა საქართველოსა და უკრაინას შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ერთობლივ სამხედრო წვრთნებსა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და უკრაინაში დაგეგმილ მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებებში ორივე ქვეყნის სამხედროების ერთობლივ მონაწილეობას.

შეხვედრის დროს ლევან იზორიამ ყურადღება ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საქმიანობაზეც გაამახვილა და კოლეგას გამოცდილების გაზიარების მიზნით JTEC-ში უკრაინელი ექსპერტის მოვლინება შესთავაზა. უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები კი, 2019 წელს JTEC-ში დაგეგმილ ნატო-საქართველოს სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. შეხვედრის დასასრულ კი, ლევან იზორიამ უკრაინელი კოლეგა საქართველოში, ოქტომბერში დაგეგმილ ყოველწლიურ „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციასა“ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალზე მოიწვია.

გაფართოებული შეხვედრის დასრულების შემდეგ, ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა განხილული თემები შეაჯამეს და ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

პრემიერ-მინისტრი გადაწყვეტს თუ პარლამენტი?

საომარი მდგომარეობის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის, ასევე ეპიდემიის დროს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი მიიღებს და აღნიშნული გადაწყვეტილების პარლამენტის მიერ დამტკიცება საჭირო არ იქნება. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ამას საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს. მისივე თქმით, საომარი მდგომარეობის დროს სამხედრო ძალების გამოყენება ყოველდღიურ რეჟიმში ხდება და შეუძლებელია, პრემიერმა ყოველდღიურად წარუდგინოს პარლამენტს მოთხოვნა სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. რაც შეეხება სტიქიური მოვლენებისა და ეპიდემიის დროს სამხედრო ძალების პარლამენტის თანხმობის გარეშე გამოყენებას, როგორც კობახიძემ განმარტა, 2015 წლის თბილისის წყალდიდობის დროს მოხდა ჯერ სამხედრო ძალების ჩართვა სტიქიის მოვლენების ლიკვიდაციისთვის, რადგან ეს გადაუდებელი აუცილებლობა იყო და ამის შემდეგ მიიღო პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება, თუმცა ამით კონსტიტუციის მოთხოვნა დაირღვა.

ია ნოშ ჰერმანი: საქართველოს ამოცანაა სამართლებრივად დაუახლოვდეს ევროკავშირს

საქართველოში ევროკავშირის ელჩის იანოშ ჰერმანის თქმით, აღნიშნული მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას 2020 წლისთვის.

„საქართველოს ამოცანა აქვს, დაასრულოს სამართლებრივი დაახლოება. აღნიშნული მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას 2020 წლისთვის. ეს ეხება იმ სფეროებს, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებაშია გაწერილი. საქართველომ ამ მხრივ უკვე ბევრი გააკეთა. ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ საჭიროა ინტენსიური მუშაობა დარჩენილი პერიოდისთვის. 2020 წელი არცთუ ისე შორსაა. ევროკავშირი განაგრძობს ამ პროცესის მხარდაჭერას. ჩემი აზრით, სამართლებრივი დაახლოება ასოცირების ხელშეკრულების მთავარი ასპექტია“, — აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა. მისივე თქმით, საკმარისი არაა მხოლოდ ახალი კანონმდებლობის მიღება, არამედ საჭიროა მათი განხორციელებაც.

„ამავდროულად, უნდა აღვნიშნო, რომ მთავარია არა უბრალოდ ახალი კანონების მიღება, არამედ მათი განხორციელება. დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები ის ფუნდამენტური პრინციპებია, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების საძირკველში დევს“, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

პარიზის შეთანხმება საქართველოსთვის ძალაშია

2017 წელს ჩვენი ქვეყანა ოფიციალურად შეუერთდა პარიზის შეთანხმებას, რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 7 ივნისიდან. პარიზის შეთანხმება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რადგან მან გარდატეხა მოახდინა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის პროცესში.

2015 წლის 12 დეკემბერს პარიზის შეთანხმებაზე ხელმოწერით 195-მა ქვეყანამ პირველად აიღო ვალდებულება, რომ, ეკონომიკური განვითარების პარალელურად, შეამციროს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის გაზების გაფრქვევები და დაბალემისიანი განვითარების გზით შეინარჩუნოს საშუალო წლიური გლობალური ტემპერატურის ზრდა 2oC-ის ფარგლებში.

ამის გარეშე შეუძლებელი იქნება კლიმატის ცვლილების ისეთი უარყოფითი შედეგების შეჩერება, როგორებიცაა წყალდიდობები, მეწყერები, ზღვის დონის მატება, შტორმები, სანაპიროების წარეცხვა, მყინვარების დნობა, მტკნარი წყლის მარაგის შემცირება, გაუდაბნოების პროცესები, მოსავლიანი მიწების დეგრადაცია, ტყის საფარის შემცირება, ნალექების გახშირება, გვალვები, ზოგ ადგილებში პირიქით აცივება, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ადამიანური მსხვერპლი.

პარიზის შეთანხმება საშუალებას იძლევა, თანამედროვე ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით დიდმა და პატარა, განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას, ენერგოუსაფრთხოებას, კონკურენტუნარიან წარმოებასა და მსოფლიოს მდგრად განვითარებას.

პარიზის შეთანხმების ეფექტური და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით საქართველოს მზად აქვს „ეროვნულად განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ქვეყნის ხედვა სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიმართულებით. კერძოდ, საქართველო გეგმავს, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორიდან 2030 წლამდე ეტაპობრივად შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევა 15-25%-ით. ჩვენი მიზანია, ხელი შეუწყოთ ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების მართვის სექტორებში თანამედროვე კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიების დანერგვას, მდინარეების კალაპოტებსა თუ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას, მაღალმთიან რეგიონებში წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების რისკის შემცირებას, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას და მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დაცვას.

ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ტრანზიტული და ლოგისტიკური ჰაბი უნდა გახდეს

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კუნიო მიკურიას შეხვდა, რომელიც თბილისში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების კონფერენციის ფარგლებში იმყოფება.

მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის საკითხები, ასევე, ხაზი გაუსვეს თბილისში მიმდინარე კონფერენციისა და გამოფენის მნიშვნელობას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა საბაჟო სფეროში და მას მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრი 180 ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციების, საზღვრის მართვაში ჩართული სხვადასხვა უწყების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (500-ზე მეტი სტუმარი) ესწრება.

„ესაა ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია, სადაც შესაძლებელია იმ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საზღვრებსა და საბაჟოზე, ხაზი უნდა გაესვას საზღვრის მართვაში ჩართული ადამიანების კვალიფიკაციას. სწორედ მათ სჭირდებათ შესაბამისი ინსტრუმენტები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც სწორი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას მისცემთ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა პარტნიორ საბაჟო ორგანიზაციებთან, რომელთა შორისაც მიმდინარეობს ვაჭრობა. სწორედ ვაჭრობაზეა დღეს დამყარებული ჩვენი ქვეყნის ერთერთი მნიშვნელოვანი განვითარების ვექტორი, ვინაიდან ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც უნდა გახდეს ტრანზიტული და ლოგისტიკური ჰაბი, ქვეყანა რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის, აბრეშუმის გზის გასაყარზე,“ — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია საბაჟო გაერთიანებებისთვის, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ახალ ტექნოლოგიებს და გავცვალოთ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ ვიმყოფებით საქართველოში, რომელიც არის ტრანზიტული ქვეყანა და რეგიონის ლოგისტიკური ჰაბი. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია საქართველოს საბაჟოების განვითარებისთვის, იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია ძალიან ნაყოფიერად ჩაივლის,“ — აღნიშნა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კუნიო მიკურიამ.

მსო (მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) საინფორმაციო ტექნოლოგიების კონფერენცია ყოველწლიურად კონკრეტულ თემატიკას ეფუძნება. წელს კონფერენციის თემაა მონაცემთა ძალა საზღვრის ეფექტური მართვისთვის.

მიწაზე ეროვნული თანხმობა კონსტიტუციამ უნდა გადაწყვიტოს

საძართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ქართველ ერს (ხალხს), როგორც კაცობრიობის ნაწილს ეკუთვნის. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს საკუთარი საზოგადოების მშენებლობისათვის, თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ, ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის საერთო მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

მიწის საკითხში ქართველი ერი ისტორიულად თვითგამორკვეულია, ვინაიდან, ქართველმა ოდითგანვე იცოდა, რომ:

> **1. მიწა, ე.ი. მამული, მისი იდენტობის (ვინაობისა და რაობის) დამდგენი მთავარი ღირებულებაა — წინაპართაგან საპატრონოდ მემკვიდრეობით მიღებული, შთამომავალთათვის დასატოვარი მარჩენალი და სამკვიდრო;**
>
> **2. სამკვიდროს პატრონობა, ე.ი. მისი ჯეროვანი მოვლა, სასიკეთოდ გამოყენება და დაცვა არა მხოლოდ ქართველის ხელშეუვალი უფლებაა, არამედ, მისი უპირველესი მოვალეობა საკუთარი ოჯახის, თემისა თუ სახელმწიფოს წინაშე;**
>
> **3. მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად ხელშეუვალია საზოგადო, ანუ სათემო საკუთრებაც - სათემო (სოფლის) სამკვიდროს პატრონობა, ისევე როგორც კერძო სამკვიდროსი, შეადგენს თემის ყოველი წევრისა და მთლიანობაში - თემის უწინარეს მოვალეობას;**
>
> **4. „ფრიადი ქვეყანა“, ანუ საერთო მამული, სამშობლო - ამ კერძო და სათემო სამკვიდროთა ერთობლიობა და ერთიანი ეროვნულ-ტერიტორიული იდენტობის მქონე მთლიანობაა, ხოლო მისი პატრონობა ამ ქვეყნის ყოველი მკვიდრის წმიდათა წმიდა მოვალეობა (ქართველთა მიწასთან მარადიული ურთიერთობის ტრადიცია).**

ისტორიულად არსებული ამგვარი თვითგამორკვევა, საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე სწორედ ეს ფუძემდებლური პრინციპები, მიწაზე უფლება-ვალდებულებათა განუყოფლობას გულისხმობდა. სწორედ ეს ქმნიდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის გამორჩეულ წესრიგს ქართულ სამართალსა და ყოფაში; სწორედ ამ ისტორიული თვითგამორკვევის პრინციპების ურყევობის წყალობით მოატანა სრულიად საქართველომაც და მისმა სოფლებმაც დღემდე;

სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით შეძლო ქართველობამ თითქმის შეუძლებელი **- მიუხედავად ისტორიული ბედუკულმართობისა და დრო-ჟამის ცალკეულ პერიოდებში ქართული ტერიტორიების ნაწილზე, თუნდაც სრულად (მაგ. რუსეთის იმპერიის პირობებში) სუვერენიტეტის დაკარგვისა, არც ეროვნული იდენტობა და არც სამკვიდრო ქართველებს ჯერ არ დაგვიკარგავს!**

ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა და განხორციელება უცილობლად ნიშნავს „ახალ თვითგამორკვევას“ - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების ფუძემდებლური პრინციპებისა და წესრიგის უკვე თანამედროვე ეპოქაში, ახალი გარემოებებისას ხელახალ გარკვევასა და თვითდამკვიდრებას;

ეს „ახალი თვითგამორკვევა“ დღეს საკონსტიტუციო პროცესის სახეს ატარებს; ამ პროცესშიც სამკვიდროს, ანუ მიწის საკითხი, სასიცოცხლოდ ყველაზე არსებითი საკითხია; თუნდაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობა სხვადასხვა პოლიტიკური წყობის (მაგ. საპარლამენტო ან საპრეზიდენტო რესპუბლიკა) პირობებში სავსებით შესაძლებელია, მაგრამ სამკვიდროს ბედის ცხადად გარკვეულობის გარეშე - ყოვლად წარმოუდგენელი;

სწორედ ამიტომ, ზემოთ მოყვანილი ისტორიულად არსებული თვითგამოსარკვევი პრინციპები, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტად ღირებული ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა, ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული და ასახული ახალი კონსტიტუციის ტექსტში; ეს პრინციპები, რაც ქართველთა საერთო ეროვნულ იდენტობას მარად განსაზღვრავდა და რამაც ჟამის ყოველ გამოცდას თუ ძნელბედობას ათასწლეულების განმავლობაში გაუძლო, თანამედროვე ქართველებისთვისაც კვლავაც უნდა გახდეს მყარი საერთო ნიადაგი, მაშასადამე — ეროვნული თანხმობის მტკიცე დასაყრდენი.

ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კონსტიტუციის ტექსტში სათანადო, ეპოქისა და დღევანდელი გარემოებებისთვის შესაფერისი ფორმა უნდა მიეცეს, მაგრამ არსებითად არ უნდა შეიცვალოს, რაც ნიშნავს:

1. კონსტიტუციის ზოგად დებულებებში მკაფიოდ უნდა იქნეს მოცემული ღირებულებითი ნორმა-პრინციპი მიწის შესახებ. მიწა არა მხოლოდ ბუნებრივი და ოდენ ეკონომიკური რესურსია (როგორც ეს ფორმულირებულია კონსტიტუციის პროექტის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში), არამედ, ჩვენი იდენტობის დამდგენი ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება; არსებობს ისტორიული შანსი, რომ ამ ღირებულებითი ნორმა-პრინციპის ზოგად დებულებებში ასახვით უკვე კონსტიტუციით გაცხადდეს საქართველოს რაობის დამდგენი მარადიული ქართული ტრიადა: „მამული, ენა, სარწმუნოება!“ ეს ისტორიული შესაძლებლობა არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ.

2. მიწაზე საკუთრების ძირითადი ფორმები — სახელმწიფო, მუნიციპალური (სათემო) და კერძო საკუთრება, ასევე კონსტიტუციით უნდა იქნეს გამყარებული;

3. საკუთრების შესახებ მუხლში (დღევანდელი პროექტის მე-19 მუხლი) აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ საკუთრება (განსაკუთრებით მიწის საკუთრება) არა მხოლოდ უფლებაა, არამედ ვალდებულებაც; აქ შეიძლება დავეყრდნოთ როგორც საკუთარ გამოცდილებასა და ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას (საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლი), ასევე ყველაზე მოწინავე სოციალური სახელმწიფოს - გერმანიის კონსტიტუციის მიერ საკუთრების ინსტიტუტის, როგორც იმთავითვე სოციალური ვალდებულებით დატვირთული უფლების, მოაზრებას (იხ. გერმანიის კონსტიტუციის მე-14 მუხლი);

4. კონსტიტუციამ მკაფიოდ უნდა მიუთითოს, რომ არა მხოლოდ მიწათმფლობელობას (როგორც ეს არის წარმოდგენილი პროექტში), არამედ, მიწათსარგებლობასაც (მიწების აღრიცხვა, მიწათმოწყობა, მიწის, განსაკუთრებით — სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ჯეროვანი გამოყენება და დაცვა, და სხვ.) აგრეთვე, მიწის სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური და სათემო) პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებსაც ორგანული კანონი აწესრიგებს; ამასთან, ეს ორგანული კანონი სისტემატიზებული სახით თავს უნდა უყრიდეს მიწის შესახებ საკანონმდებლო ნორმებს. ე.ი. მიწის კოდექსის სახით უნდა იქნეს მომზადებული და მიღებული;

5. უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვა სწორედ ამ კონსტიტუციური პრინციპებიდან (მიწა, როგორც ეროვნული იდენტობის დამდგენი ღირებულება და მიწაზე საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება) უნდა გამომდინარეობდეს; გასხვისება მხოლოდ ორგანული კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში და პირობებით (საინვესტიციო სამოქმედო გეგმა დატვირთული აგროსამეურნეო ვალდებულებებით), როცა აშკარაა განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესი და საზოგადოებრივი სიკეთე, შესაძლოა იყოს დასაშვები; ამასთან, ორგანული კანონით უნდა განისაზღვროს, რომ ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მუნიციპალურ საკუთრებაში უნდა გადავიდეს და შესაბამის თემს მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს, რაც სახელმწიფოს მიერ მის გაყიდვას, განსაკუთრებით უცხოელებზე, სრულად გამორიცხავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიწის საკითხთან დაკავშირებით ეროვნული თანხმობის მისაღწევად საკონსტიტუციო ნორმები შესაძლოა, ამ სახით ჩამოყალიბდეს:

ა) კონსტიტუციის პროექტის ზოგად დებულებებს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი:

„მუხლი .... მიწა

1. მიწა, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, წარმოადგენს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯეს — წინაპარი, აწმყო და მომავალი თაობების მარადიულ სამკვიდროს, რომელსაც იცავს ხალხი და სახელმწიფო.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერის (ხალხი) უალტერნატივო სასიცოცხლო ბაზაა, რომელსაც განუმეორებადი სოციალური და კულტურული ფუნქცია (ღირებულება) აქვს. მისი სრულად შენარჩუნება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა სახელმწიფოსთვის შეუვალი მოვალეობაა.

2. მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ (სათემო) და კერძო საკუთრებაში. მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში, აგრეთვე, მისი სათანადო დამუშავება შეადგენს მიწის მესაკუთრის მოვალეობას ხალხისა და ადგილობრივი თემის წინაშე.

3. მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა, აგრეთვე მიწის სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური, სათემო) პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები წესრიგდება ორგანული კანონით.

ბ) კონსტიტუციის პროექტის მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტი ამ რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს (შესაბამისად, ზედმეტია მე-4 პუნქტი და იგი ამოღებული უნდა იქნას):

„1. საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად საზოგადოებრივ სიკეთეს უნდა ემსახუროს. საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები კანონით, ხოლო მიწის საკუთრებისა — ორგანული კანონით განისაზღვრება.“

ეს კონსტიტუციური პრინციპები, რაც საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივ და მოწინავე საერთაშორისო (უწინარესად — ევროპულ) გამოცდილებას ემყარება, ამავდროულად ამ საკითხზე ეროვნულ თანხმობასაც ასახავს, **შექმნის მტკიცე გარანტიას, რომ მიწის კანონმდებლობა, რომელიც დღეს სავალალო დღეშია, ჯეროვნად გაიმართოს, რათა მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში კვლავაც, როგორც ეს გეორგიანული ცივილიზაციისთვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი, გამორჩეული წესრიგი დამყარდეს.**

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობითა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, მიწის ახალი, გამართული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მომზადდეს და გატარდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიწის რეფორმა (რისთვისაც შესაქმნელია მიწათსარგებლობის მონიტორინგისა და ლანშაფტურ-ეკოლოგიური მართვის სამსახური).

აქვე ხაზგასასმელია, რომ დღეს არსებული გამოშიგნული და სახედაკარგული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“, მიუხედავად მასში სულ ახლახანს ცვლილებებისა და დამატებების ინიცირებისა, მიწის სამართლის მომწესრიგებელი ორგანული კანონის ფუნქციას ვერასგზით ვერ შეასრულებს. თუნდაც იმიტომ, რომ იგი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არა ზოგადად - მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, თანაც მხოლოდ უაღრესად ფრაგმენტულად შეეხება;

ხოლო ახლახანს ინიცირებული ცვლილებები, რაც უცხოელებისთვის სასოფლო-სამაურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შეძენის გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს და კონკრეტულად მხოლოდ ამ მტკივნეული საკითხის (ad hog) მოსაწესრიგებლადაა განკუთვნილი; ცალკე მსჯელობის საგანია და უაღესად სადავოა, რამდენად წესრიგდება თუნდაც ეს მტკივნეული პრობლემა; მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, მიწის დღევანდელ უმძიმეს პრობლემას ეს ინიცირებული პროექტი ვერ გადაწყვეტს: მიწის გაუცხოება მხოლოდ აისბერგის წვერია პრობლემათა იმ გრძელ ჯაჭვში, რასაც მოკლედ შეიძლება ქართული მიწის არაჯეროვანი პატრონობა ან სულაც - უპატრონოდ მიგდება ვუწოდოთ.

სწორედ ამიტომ, კატეგორიულად მიუღებელია კონსტიტუციური კანონის პროექტის ის ნორმა (იხ. პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც ამ უვარგის კანონს მიწათმფლობელობის მომწესრიგებელი ორგანული კანონის სტატუსი ავტომატურად ენიჭება კონსტიტუციის ამოქმედებისთანავე. ეს ნორმა პროექტიდან ამოღებული უნდა იქნეს და მის სანაცვლოდ პროექტს აუცილებლად უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„3. ამ კანონის ამოქმედებამდე, არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა, საქართველოს მთავრობამ მოამზადოს და პარლამენტს მისაღებად წარუდგინოს საქართველოს ორგანული კანონის პროექტი — „მიწის კოდექსი.“

მიწის საკითხზე ეროვნული თანხმობა არა მხოლოდ კონსტიტუციის ლეგიტიმურობის, არამედ, ქართველთა ღირსეული თანაცხოვრების ფუძემდებლური და სავალდებულო პირობაა, ამიტომ, ამ თანხმობის მისაღწევად საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც ძალისხმევა არ უნდა დავიშურროთ!

პროფესორები:
პაატა კოლუაშვილი, დავით ზარდიაშვილი, ჯუმბერ ფანჩულიძე, ანზორ მესხიშვილი, მიხეილ ჯიბუტი

საქართველოს მთავარ პროკურორს ახალი მოადგილე ჰყავს

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი ბადაშვილი დაინიშნა. მთავარი პროკურორის მოადგილის დანიშვნის ბრძანებას ხელი გუშინ მოეწერა.

გიორგი ბადაშვილი 2013 წლის 22 ნოემბრიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. 2014 წლის 21 იანვრიდან – 2015 წლის 2 დეკემბრამდე ეკავა საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა. 2015-2017 წლებში მუშაობდა საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

მთავარმა პროკურორმა შტატის დამატება მოითხოვა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა მთავარი პროკურორის მოადგილეების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული თემის კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, მოთხოვნა საქართველოს მთავრობის აქტით დამტკიცდა. **„პროცედურა კი იყო შემდეგი, მთავარმა პროკურორმა მოითხოვა შტატის დამატება, ეს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის აქტით, რის შემდეგაც ჩემ მიერ შეტანილ იქნა საშტატო ნუსხაში შესაბამისი ცვლილება“,** – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ივანიშვილს საყვედურობენ და თავად უკრაინაში მიშასთან დარბიან

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაალ უდუმაშვილი ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობისგან“ მიიღო შეთავაზება, თბილისის მერის არჩევნებში კენჭი იყაროს.

როგორც უდუმაშვილმა ჟურნალისტებს კიევიდან დაბრუნების შემდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განუცხადა, უკრაინაში მიხეილ სააკაშვილთანაც ჰქონდა შეხვედრა.

„მე, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით, ვადასტურებ, რომ მაქვს შეთავაზება, კანდიდატურა დავაყენო თბილისის მერის პოსტზე და მივიღო არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა, გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში გამოვაცხადებ ოფიციალურად.

უკრაინაში პარტიის ლიდერებთან მქონდა შეხვედრა, მათ შორის – მიხეილ სააკაშვილთან. ეს შეთავაზება არის „ნაციონალური მოძრაობისგან“. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, ვიყრი თუ არა კენჭს თბილისის მერად, ვიქნები „ნაციონალური მოძრაობის“, თუ დამოუკიდებელი კანდიდატი“, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ში (29 მარტი -4 აპრილი) გამოქვეყნებული წერილით **„ბოლო წლების განმავლობაში რომელი დამპყრობლის უღელი გვადგას, პატივცემულო მათემატიკის დოქტორო?!“** მე გამოვეხმაურე 10 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბჭდილ **ირაკლი ბოკუჩავას** წერილს **„არა განაძღო!“**. ამ წერილში ის გაუგონარი სიძულვილით ესხმის თავს რუს ერს. ავტორს მივუთითე, რომ ასეთი წერილები ქვეყნის მომავალს აზიანებს. უფრო ადრე იგივე მიუთითა პოლიტოლოგმა **ჰამლეტ ჭიპაშვილმა** მშვენივრად დასათაურებული წერილით **„შემოქმედება“, რომელიც არა მხოლოდ ავტორს ჭრის თავს, არამედ ქვეყანასაც“** (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 18-24 იანვარი) ბატონ ჰამლეტს, თავის მხრივ, დიდი რიხით უპასუხა ბატონმა ირაკლიმ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი).

მოველოდი, რომ ბატონი ირაკლი ვერ მოითმენდა და ჩემს წერილსაც გამოეხმაურებოდა. ასეც მოხდა. 11 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა მისი წერილი **„ყორნების გამთეთრებელნი“** ქვესათაურით: **„ანუ არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!“** (ეს ფილმ „რეკორდიდან“ ამოღებული პერიფრაზაა).

ბატონი ჰამლეტი, როგორც ჩანს, აღარ აპირებს (აღარ კადრულობს) მასთან კამათს (ალბათ მართალიც არის!).

უცნაურია, მაგრამ ირაკლი ბოკუჩავა ცნობილ პოლიტოლოგთან პოლემიკაში გამარჯვებულად მიიჩნევს თავს. **მეც რომ არ ვუპასუხო, გამარჯვებულის დაფდაფებს შემოჰკრავს, ამიტომ მოვკიდე კალამს ხელი!**

თქვენ გგონიათ, პატივცემულმა მათემატიკის დოქტორმა ჩემი წერილის სათაურს უპასუხა? – **არ უპასუხია!** იგი წერილის მთავარ დებულება – არგუმენტებს გვერდს უვლის და მკითხველს „კუკუდამალობანას“ ეთამაშება.

როცა ამბობს, რომ „მრავალი უბედურება: ავტორიტარიზმი, კორუფცია, ქრთამი და ა.შ.“ რუსეთიდან მოდის, მე ვეუბნები, რომ ეს „უსუსური მსჯელობაა“. **რატომ არ მპასუხობს და არ მიმტკიცებს, რომ არ არის „უსუსური მსჯელობა“?** იმიტომ, რომ ზემოთ ჩამონათვალი რუსების სიძულვილით სავსე კაცის სიტყვებია და არ არის სიმართლე!

ან იმაზე რატომ არ მპასუხობს, – **ჩვენს „ტრადიციულ ფასეულობებს“ ვინ ემუქრება და ებრძვის, – ევროატლანტიკური სივრცე თუ რუსეთი, სადაც აკრძალეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება?**

ან **თავის აზრს რატომ არ გამოთქვამს ჩემს სიტყვებზე: „როცა ის დათვია და მე – კურდღელი, განა ზოგჯერ ამ განრისხებულ დათვს „ბაბაია“ არ უნდა ვუძახო და არ უნდა ვეფერო?!“ თუ სააკაშვილ-ოქრუაშვილ-ხიდაშელივით ღვარძლიანად და სამარცხვინოდ უნდა ვაზროვნებდეთ-მეთქი?**

როცა ვამბობ, რომ: „თუ რუსი ასეთი ცუდია, რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი როგორ ცხოვრობს და შრომობს მათთან ერთადო, ამაზე **რატომ ხმას არ იღებთ?** თქვენი წერილებით **რატომ მტრობთ** რუსეთში გადახვეწილ იმ მილიონზე მეტ ქართველს და საქართველოში დარჩენილ ალბათ ასევე მილიონზე მეტ მათი ოჯახის წევრებს, ბატონო ირაკლი?

როცა მოგმართავთ, რომ **„თქვენ რომ რუსეთის ადგილზე იყოთ (ყოფილიყავით), მოითმენდით-მეთქი სადგისის წარამარა ჩხვლეტას მაგ თქვენს ერთ უხერხულ ადგილზე“, რატომ არ მპასუხობთ, მოითმენდით თუ ვერა? ალბათ, სავარაუდო პასუხია, რომ „ვერ მოითმენდით“! მაგრამ ეს რომ თქვათ, მერე ხომ რუსეთი გამართლდება! თქვენ კი ეს არ გინდათ! „არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!“**

ბატონი ჰამლეტი წერს (და მეც ვეთანხმები), რომ რუს-ქართველთა ურთიერთობაში იყო და არის „ბევრი ცუდიც“ და „ბევრი კარგიც“, **მაგრამ „კარგი“ „ცუდს“ აშკარად გადაწონის-მეთქი! რატომ გვიმტკიცებთ, რომ „ვერ გადაწონის“?** ეს ხომ კარდინალური საკითხია. რადგან გასუსული ხართ, ესე იგი „კარგი“ გადაწონის, – ხომ? **მაგრამ ეს რომ აღიაროთ, თქვენი წერილის სათაური „ყორნების გამთეთრებელნი“-ც ხომ ცარიელი ბუტაფორია დარჩება“!!**

სწორედ თქვენისთანები აზიანებენ ქვეყნის მომავალს

ირაკლი ბოკუჩავა მკითხველს „კუკუდამალობანას“ ეთამაშება

თქვენს წერილში ექვსი „ისტორიული მაგალითი“ მოიყვანეთ რუსების ვერაგობის და ღალატისა. ზოგიერთზე უფრო ღრმა დაფიქრება გვმართებს. მაგალითად, პეტრე პირველისგან ნაღალატევი ვახტანგ მეექვსე 1200 რჩეული ქართველით **ისევ „მოღალატე რუსეთს“ აფარებს თავს, რატომ?** ნუთუ რუსების ღალატზე არ განრისხდა? **იმიტომ, რომ რუსეთი იყო ერთმორწმუნე და „ნაკლები ბოროტება“.**

კრწანისის ბრძოლაზე აღვნიშნე, რომ აქ რუსების ღალატის გარდა ქართველების ღალატსაც ჰქონდა-მეთქი ადგილი და მხოლოდ „რუსის ფენომენზე“ კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ – „ქართველის ფენომენზეცო“. ქართველების ღალატზე და უმოქმედობაზე რატომ არაფერს ამბობთ? იმიტომ, რომ **ტენდენციური ხართ, უმადური ბრძანდებით და მხოლოდ „რუსეთის ფენომენზე“ თავდასხმა გაინტერესებთ!**

ართვინის და არტაანის **მთლიან იმპერიაში დაბრუნებით,** პირველ რიგში, ისევ ქართველები არ გაიხარებდნენ და იხეირებდნენ იქითა მხარესაც და აქეთა მხარესაც? **ფაქტიობრივად, ეს ხომ საქართველოსთვის შემოერთება გამოდის? ნუთუ თქვენ სადავოს ხდით იმას, რომ სწორედ რუსების წყალობით შემოგვრჩა ბათუმი და მთელი სამცხე-ჯავახეთი ახალციხის ჩათვლით? ხოლო ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (2021 წელს) კაცმა არ იცის, რა მოხდება?**

რუსების ღალატის მაგალითების ჩამოთვლით თქვენ ცდილობთ, თქვენი პოზიცია გაიმაგროთ, მკითხელს კიდევ ერთხელ „შეაჩეროთ“ „რუსის ფენომენის“ უვარგისობა. მაგრამ ხომ ხედავთ, **ურუსეთოდ მომავალშიც უფრო ცუდ დღეში აღმოვჩნდებით (ბათუმ-სამცხე-ჯავახეთის ბედს ვგულისხმობ) და ვერც აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ რუსების ნება-სურვილის გარეშე!**

ახლა ვნახოთ, ბატონი ირაკლი ჩემს არგუმენტებზე როგორ მპასუხობს.

პირველივე არგუმენტში ამაყობს იმით, რომ „ამერიკაგამოვლილი“ „თერგდალეული“ ვუწოდე, იგი ვერ ხვდება, რომ ამ მიმართვაში მცირე და ფარული დაცინვა ჩავდე. **სად თერგი და სად ამერიკა? თქვენი თავი ილიასნაირი „თერგდალეული“ გგონიათ?**

მეორე არგუმენტი: „ბატონ უშანგის არ მოსწონს, რომ მე რუსეთის მიმართ ვიხმარე სიტყვა **„შემოთესლილი“. თქვენ,** ჟურნალისტმა კაცმა, ქართული ჩემზე არანაკლებ უნდა იცოდეთ, რომ „შემოთესლილი“ ნიშნავს გარედან შემოსულს და ჩვენს ნიადაგში ჩათესილ-ჩანერგილს. თქვენ რა იგულისხმეთ, ბატონო უშანგ?“

ბატონო ირაკლი, რა **ვიგულისხმე და, აბა, რომელიმე ქართველს უთხარით: „შეთესლო“, „შე შემოთესლილოო“ და რა პასუხს მიიღებთ, დაინახავთ!** თქვენ **„შემოთესლილი“** ცალკე კი არ იხმარეთ, **არამედ ასე: „შემოთესლილი ჭირი“, რომელშიც რუსებს გულისხმობთ. მე გიკიჟინებთ და გეუბნებით: თუ ჭირია, საქართველოს მოსახლეობა, ორ საუკუნეში, ნახევარი მილიონიდან 5,5 მილიონამდე როგორ გაიზარდა-მეთქი? გისახელებთ ფაქტს, გისახელებთ ციფრებს, პატივცემულო მათემატიკის დოქტორო, და ამაზე პასუხს რატომ არ მცემთ? ეს არის ჩემგან „ყორნის გათეთრება“? პასუხს იმიტომ არ მცემთ, რომ – ვერ მცემთ, არაფერი გაქვთ სათქმელი...**

მესამე არგუმენტი: „რუსეთს რომ არ დაეპყრო საქართველო, ჩვენ გასპარსეულება და გათურქება გველოდაო“. **არ გველოდა?** აქვე ამბობთ: „ამ დაპყრობას თავად სტალინმა უწოდა „ნაკლები ბოროტება“. მეტი რაღა გინდა, შე კაი კაცო? აბა, უფრო „დიდი ბოროტებისკენ“ უნდა წავსულიყავით?

მეოთხე არგუმენტი: ჩემი „ოპონენტი“ დაჟინებით იმეორებს, რომ კრილოვის იგავ-არაკის „ღორში“ რუსი იგულისხმება. მე ვეუბნები, რომ, იგავ-არაკის ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, **ამ ღორში ყველა ეროვნების ღორული ბუნების ადამიანი იგულისხმება.** საპასუხო წერილში იგავ-არაკის ჟანრს სულ არ ახსენებს. **ასე აწვრილმანებს საკითხს. მას სურს, მკითხველმა „წაასწროს“ იგავ-არაკის ჟანრის ვერგაგებაში! „არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!“**

მეხუთე არგუმენტში პატივცემული ირაკლი სკოლის მოსწავლესავით მასწავლის, თუ რა არის იმპერია და „ამერიკა იმპერიაააო რომ ბრძანებთ, ხომ ვერ მეტყვით, რომელი სახელმწიფოები დაიპყრო და მიიერთა?“ **მაინცდამაინც იურისდიქციით უნდა გაფორმდეს ეს დაპყრობები? თქვენც თუ ჩემსავით „თვალებახვეული“ არა ხართ (ასე მიწოდეთ), რატომ ვერ ხედავთ ჩემს წერილში შავით თეთრზე დაწერილს, თუ რატომ არის ამერიკა იმპერია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში ათასი უბედურება დაატრიალა (და ატრიალებს) მსოფლიოში, რომ მსოფლიოს ერთპოლუსიანი ჰეგემონისტობისკენ მიისწრაფის და არის (თუმცა ამ ბოლო დროს რუსეთმა შეაჯანჯღარა).** „ნატოზეც“ პირობითად ვამბობ იმპერიას, რადგან მის უკან იმპერია დგას და სწორედ მისით ახორციელებს თავის იმპერიულ (ე.ი. დაპყრობით) ზრახვებს მსოფლიოში. რა არის აქ გაუგებარი და, მით უმეტეს, სასაცილო?

ასევე „ორს რომ ორი მივუმატოთ, ყოველთვის არ უდრის ოთხსო“, **ესეც პირობითი, გადატანითი, მეტაფორული ნათქვამია, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით არ ხდება,** არ (ვერ) იზომება. ამის „გამამართლებლად“

ერთ მაგალითს მოვიყვან: მოგეხსენებათ, ფილოსოფიაში **არის რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი. ფრიდრიხ ენგელსს** მოჰყავს ბრწყინვალე მაგალითი: როცა ათი ფრანგი ეომება ათ ეგვიპტელს (მამლუქს), იქ ეგვიპტელები იმარჯვებენ, მაგრამ როცა 50 ეომება 50-ს, ან ასი ეომება ასს, იქ ფრანგები იმარჯვებენ, რა ხდება? – რაოდენობა გადადის თვისობრიობაში. პირობითად ხომ შეიძლება ვთქვათ, რომ აქ 50 უკვე აღარ უდრის 50-ს და ასი აღარ უდრის ასს! ასეა ჩემი მაგალითის მოხმობის შემთხვევაშიც.

თქვენი წერილები რომ მწარე რუსოფობიურია, ამას პატარა ბავშვიც მიხვდება და თუ არა ამერიკისკენ, მაშ საითკენ მიგვერეკებით?

ვიღებ ბატონი ირაკლის შენიშვნას, რომ სულმნათი აკაკის მიმართ არ უნდა მეხმარა **„ახალგაზრდულ-ქარაფშუტული“**. არ ვიცი, დიდი აკაკი რუსოფილი იყო თუ არა, მაგრამ ცოლი რომ რუსი ჰყავდა, ალბათ მოგეხსენებათ, ბატონო ირაკლი!

ამბობთ, რომ რუსები ჩვენ გვაგინებდნენ, ქართველები კი „თავისთვის“ იგინებოდნენ, რუსებს არ აგინებდნენო! ისემც მაგ სიმართლით იარეთ!

მეცხრე არგუმენტი: „კომუნისტების დროინდელ დემაგოგიაში ფრიად გაწვრთნილი ყოფილა ჩვენი ჟურნალისტი. აბა, კომუნისტები დამსახურებული ჟურნალისტის, მასწავლებლის და ა.შ. წოდებას ტყუილად არ არიგებდნენ“ მინდა, ბატონ ირაკლის შევატყობინო, რომ **დამსახურებული ჟურნალისტის წოდება კომუნისტებმა კი არ მომანიჭეს 28 წლის წინათ, სულ რაღაც ცხრა თვეა, ეს წოდება მივიღე!** და მე თუ წარდგენილი ვიყავი ამ წოდებაზე, ეგეც არ ვიცოდი! **რაც არ იცით, იმაზე რომ წერთ, ეს არ არის დემაგოგია?** კომუნისტების დროს მართლა ვწერდი კრიტიკულ წერილებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე და ვაქვეყნებდი. ვაჟას მკვლევარებს არცთუ ცოტა შენიშვნა მივეცი, მაგრამ მათ ჩემი მსჯელობები დემაგოგიად არ მოუნათლავთ თქვენსავით (შეიძლება ამის შესახებ ჩემი წიგნები ნახოთ საჯარო ბიბლიოთეკაში: „არაგვის ხეობიდან – ბორჯომის ხეობამდე“ 2010წ. და „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში, 2011წ.)

ბატონი ირაკლი აგრძელებს: „ჩვენს დემაგოგს მე სოროსელად, ლგბტ თემის ლამის თავკაცად და ათას სხვა უბედურების მეთაურად გამოვყავარ“. **ეს არის ცილისწამება, ტყუილი!** მე ვწერ: „არ ვიცი, თქვენ მათთან რა გაკავშირებთ“-მეთქი!

ახლა მკითხველმა განსაჯოს, მე ვარ დემაგოგი თუ თქვენ?

მეათე არგუმენტი: „თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემ ირგვლივ ამერიკელებს არავისთვის შეუთავაზებიათ, ცოლი გაუშვი და მამაკაცზე დაქორწინდიო, ან რელიგია შეიცვალეო“... ბატონო ირაკლი, **ჭურში ზიხართ თუ დეპოში გძინავთ?** თქვენთვის რომ არ შემოუთავაზებიათ, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გაუკულმართებული მასონ-ლიბერასტები მთელ მსოფლიოში შეტევაზე არ გადადიან რწმენის, ოჯახის და ეროვნულობის წინააღმდეგ, მათ წასართმევად და დასანგრევად?

„იდიოტობის მწვერვალს“ უწოდებს, მე რომ რეფერენდუმი მოვითხოვე, – ევროკავშირი გვინდა თუ რუსეთიო. **მერე ეს იდეა თვითონაც მოეწონა და ახლა თვითონ მოითხოვს ამ „იდიოტობის მწვერვალს“!!!** თანაც სჯერა, რომ რახან გაზეთით რეფერენდუმი მოითხოვა, 2-3 თვეში ჩატარდება და რუსოფილებს დუელში იწვევს: „მოემზადეთ, გელოდებითო!“

ჯერ კიდევ კომუნისტები ანსხვავებდნენ ერთმანეთისაგან მშრომელთა ფართო მასებს და ადმინისტრაცია-ბიუროკრატიას. როდესაც თქვენ „„რუსის ფენომენზე“ მსჯელობთ, სწორედ იმ უბრალო მშრომელ ხალხს ურტყამთ, სამწუხაროდ.

„ორსაუკუნოვანი მონობის მენტალიტეტზე“ საუბრობთ. **ყველას ეღიმება სიტყვა „მონობაზე“!**

ამბობთ, ჩვენ როცა სახელმწიფო გვქონდა, რუსები მაშინ ხეებზე ისხდნენო; არ გაგიათ, ხშირად ხალხები ერთმანეთს რომ უსწრებენ კულტურით და ცივილიზაციით? ახლა ეს მითხარით: რამდენი საუკუნის ქვეყანაა ამერიკა და რა „მეთოდით“ დაიპყრეს ეს მიწები? თქვენმა სათაყვანო „გაამერიკელებულმა“ ევროპელებმა **ხომ თითქმის მთლიანად ამოჟუჟეს ადგილობრივი მცხოვრებლები!**

თქვენ არც იმაზე გიპასუხიათ, ამერიკელებმა ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში თუნდაც ერთი მსხვილი საწარმო რატომ არ აგვიშენეს საქართველოში, რომ ხალხი დასაქმებულიყო. ისევ მე გპასუხობთ, იმიტომ, რომ, **რუსებისა არ იყოს, ამერიკელებსაც ფეხებზე ვკიდივართ!**

ყველა „ვინც რუსეთზე და რუსებზე კარგს და ობიექტურს იტყვის, „რუსეთუმე“ და „რუსოფილი“ გგონიათ“. ეს იმიტომ, რომ ლგბტ თემის წევრებს და ათასი რჯულის არასამთავრობოებს ამერიკისგან აქვთ დავალებული რუსებისგან „მტრის ხატი“ შექმნან. თქვენც მათ წისქვილზე უშვებთ წყალს. აქამდე ჩემთვის „რუსოფილი“ არავის უწოდებია, თქვენ კი მრავალგზის მიწოდეთ. **ამას კი იმიტომ შვრებით, რომ დემაგოგი ხართ, ცდილობთ, რუსებთან ერთად ჩემი თავი და ნააზრევი რაღაცნაირად შეაზიზღოთ მკითხველს! მაგრამ „არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!** მერწმუნეთ, რომელიმე სხვა ხალხზე (სახელმწიფოზე) რომ დაგეწერათ ასეთივე ტენდენციური წერილები, **მაშინაც ავიღებდი ხელში კალამს თქვენგან მის დასაცავად.**

ბრძანებთ: „ადრე თუ გვიან საქართველოს მხარეს აუცილებლად მოუწევს რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკების დაწყება“... თქვენი წერილების ავტორი **რა პირით და სინდისით ლაპარაკობთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე? სწორედ თქვენნაირების უგუნური პოლიტიკით და ურა-პატრიოტიზმით დავკარგეთ აფხაზეთიც და სამაჩაბლოც. სწორედ თქვენნაირები აფუჭებენ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის საქმეს, სადგისით ჩხვლეტენ „დათვს“ და აბრაზებენ.** ისიც ჯიბრში გვიდგება, უარესს გვიშვრება (მავთულხლართების გადმოწევისა არ იყოს). ამით კი უბრალო მშრომელი ხალხი ზიანდება და ზარალდება. ცხინვალის ომის დროსაც მრავალი ქართველი დაიღუპა, მრავალი ოჯახი გამწარდა, ქვეყნის მაშინდელმა ბობოლებმა კი იხეირეს და მილიონერები გახდნენ!

პატივცემულო მათემატიკის დოქტორო, თქვენი წერილ-პასკვილებით ამაოდ გგონიათ თავი გამარჯვებული!

„არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა“!

უშანგ ჯანგირაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი
ქ. ბორჯომი.

ყველა „ვინც რუსეთზე და რუსებზე კარგს და ობიექტურს იტყვის, „რუსეთუმე“ და „რუსოფილი“ გგონიათ“. ეს იმიტომ, რომ ლგბტ თემის წევრებს და ათასი რჯულის არასამთავრობოებს ამერიკისგან აქვთ დავალებული რუსებისგან „მტრის ხატი“ შექმნან. თქვენც მათ წისქვილზე უშვებთ წყალს. აქამდე ჩემთვის „რუსოფილი“ არავის უწოდებია, თქვენ კი მრავალგზის მიწოდეთ. ამას კი იმიტომ შვრებით, რომ დემაგოგი ხართ, ცდილობთ, რუსებთან ერთად ჩემი თავი და ნააზრევი რაღაცნაირად შეაზიზღოთ მკითხველს! მაგრამ „არ გაგივა ეს ნომერი შენ, დურუ ხუნჭუა!

ტერმინი მთავარსარდალი არ ნიშნავს, რომ თავდაცვის სფეროს პრეზიდენტი უნდა მართავდეს

ტერმინი მთავარსარდალი არ ნიშნავს, რომ თავდაცვის სფეროს პრეზიდენტი უნდა მართავდეს, – განმარტავს პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძემ განცხადება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც კონსტიტუციის პროექტის განხილვა მიმდინარეობს.

„რამდენიმეწლიანი გამოცდილება გვაქვს საპარლამენტო მმართველობის. ბუნებრივია, ხალხს უკვირს რას ქვია, სახელმწიფოს მეთაური ქვეყანას არ მართავს, რას ქვია მთავარსარდალი ჯარს ბრძანებას არ აძლევს და ა.შ, მაგრამ ეს არის საპარლამენტო მმართველობა. პრეზიდენტის მაღალი სიმბოლური სტატუსი არ ნიშნავს მის კომპეტენციებს. სტატუსსა და კომპეტენციებს შორის არის მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი. მაღალი სტატუსი პრეზიდენტს უნდა დარჩეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კომპეტენციები არასწორად დარეგულირდეს“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

დღევანდელი უშიშროების საბჭო არის მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ორგანო და მეტი არაფერი

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

„ამ თემაზე მთელი რიგი პოლიტიკური სპეკულაციები სცილდება რეალობას. დღევანდელი უშიშროების საბჭო არის მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ორგანო და მეტი არაფერი, რომელიც იღებს ერთადერთ გადაწყვეტილებას, ეს არის შეიაღარებული ძალების რიცხოვნობის განსაზღვრა, რაც არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალები არსებობს. პრეზიდენტთან რჩება ყველა ის უფლებამოსილება, რაც აქამდე ჰქონდა და თავისთავად მთავრობას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა. საუბარი იმაზე, რომ უშიშროების საბჭო წყვეტს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, სცილდება ყველანაირ ჯანსაღ და საღ აზროვნებას. პირიქით, საერთაშორისო ორგანიზაციები, ვენეციის კომისია გვაძლევს რეკომენდაციას, რომ უნდა შეექმნათ ეფექტური ორგანო. შარშან ორჯერ შეიკრიბა ეროვნული უშიშროების საბჭო და თქვენ გინდათ, დამაჯეროთ, რომ პრეზიდენტმა, ვინც არ უნდა იყოს იქ, მიიღო იმდენი რჩევა, იმდენი განათლება და ინფორმაცია, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე რაიმე ზეგავლენა მოახდინა? რა თქმა უნდა, არა. მე თავად ვარ უშიშროების საბჭოს წევრი და ვიცი, რაზე ვმსჯელობთ იქ. ჩვენ ვსაუბრობთ, რომ თავდასხმის შემთხვევაში საჭიროა პოლიტიკური კონსოლიდაცია, სწორედ ამიტომ არის შემოთავაზებული თავდაცვის საბჭოც“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები ეროვნული უსაფრთხოების სისტემას გამოშიგნავს

ჩვენ მთლიანობაში ვუყურებთ შემოთავაზებულ ცვლილებებს, ეს ყველაფერი ეროვნული უსაფრთხოების სისტემას გამოშიგნავს, მთლიან არქიტექტურას შეასუსტებს, – ამის შესახებ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ყველაფერი – უმაღლესი მთავარსარდლის საკითხი, უშიშროების საბჭოს საკითხი და მთლიანად ცვლილებები ერთიან ბმაშია და ამ ბმის ერთობლიობა გვაძლევს შესუსტებულ თავდაცვისუნარიანობას.

„ჩვენ მთლიანობაში ვუყურებთ შემოთავაზებულ ცვლილებებს. ეს ყველაფერი ეროვნული უსაფრთხოების სისტემას გამოშიგნავს, მთლიან არქიტექტურას შეასუსტებს. ყველაფერი – უმაღლესი მთავარსარდლის საკითხი, უშიშროების საბჭოს საკითხი და მთლიანად ცვლილებები ერთიან ბმაშია და ამ ბმის ერთობლიობა გვაძლევს შესუსტებულ თავდაცვისუნარიანობას. შემოთავაზებული ცვლილებები არ ეყრდნობა არსებულ გამოწვევებს, არ ითვალისწინებს ოკუპაციას. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ცვლილებების განხორციელებისგან პარლამენტი თავს შეიკავებს“, – განაცხადა რაქვიაშვილმა.

დემოკრატები და რესპუბლიკელები შეშფოთებულნი არიან

ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ საგანგაშოდ მივიჩნევთ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილელების პროექტის დაჩქარებულ რეჟიმში განხილვას, – ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნინო გოგუაძემ განაცხადა. როგორც პარტიების ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, მმართველი გუნდი სულ მცირე ვენეციის კომისიის დასკვნას უნდა დაელოდოს და შემდეგ დაიწყოს საპარლამენტო განხილვები.

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის თამარ კორძაიას განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების შემოთავაზებული სახით მიღება ჩიხში შეიყვანს ჩვენს ქვეყანას, რადგან დააშორებს რეალური საპარლამენტო მმართველობის მოდელს, ვერ უზრუნველყოფს მრავალპარტიულ წარმომადგენლობას პარლამენტში, აკრძალავს საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას, შეასუსტებს ადგილობრივ თვითმმართველობას და დაბლა დასწევს ადამიანის უფლებების დღეს არსებულ სტანდარტს.

კორძაია აქვე აღნიშნავს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ ადასტურებს, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, არც პრეზიდენტის, არც სამოქალაქო სექტორის და არც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებსა და შეფასებებს. მისივე თქმით, მმართველი პოლიტიკური ძალა ურყევად დაადგა ხელისუფლების მიტაცების გზას და სურს, უმოკლეს ვადაში გაიმყაროს და დაიმტკიცოს ძალაუფლება. პარტიები დაუშვებელად მიიჩნევენ ქვეყნის მმართველობის მოდელის შეცვლას ასეთ დაჩქარებულ ტემპებში.

შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია და საქართველოს მომავალი

რიკარდოს მოდელი

ნებისმიერი ქვეყნის, მ.შ. საქართველოს ნორმალური ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის გარეშე. ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ სხვადასხვა ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ, შესაბამისად ამ განსხვავების წყალობით (ან, ამ განსხვავებათა გამო) მათ შეუძლიათ მიიღონ სარგებელი, თუკი აწარმოებენ იმას, რასაც კარგად ან, იდეალურ შემთხვევაში, ყველაზე უკეთესად აკეთებენ. ბუნებრივია, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს აწარმოოს ყველა ის პროდუქტი, რომელიც მას ესაჭიროება. შესაბამისად კეთდება დასკვნა, რომ საერთაშორისო ვაჭრობამ შეიძლება, სარგებელი მოუტანოს ამ პროცესში მონაწილე თითოეულ ქვეყანას, თუ ისინი განახორციელებენ იმ საქონლის ექსპორტს, რომელშიც შეფარდებითი უპირატესობა აქვთ. საერთაშორისო ეკონომიკის ასეთი მოდელი შეიმუშავა ინგლისელმა ეკონომისტმა დევიდ რიკარდომ. ეს მოდელი მარტივად იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, რაკი ეკვადორს უკეთ გამოსდის ვარდების წარმოება, მან ვარდები უნდა აწარმოოს და საერთაშორისო ბაზარზე მისი ექსპორტი განახორციელოს, ხოლო აშშ-მა — კომპიუტერები, ვინაიდან კომპიუტერებს აშშ გაცილებით უკეთესად ამზადებს, ვიდრე ეკვადორი, ხოლო ვარდებს, რომელსაც მილიონობით მოიხმარს, ეკვადორისგან შეიძენს. სხვა საკითხია, შეძლებს თუ არა ეკვადორი გაყიდული ვარდების სანაცვლოდ საჭირო რაოდენობის კომპიუტერების შეძენას.

რიკარდოს მოდელი და შეფარდებითი უპირატესობის ცნება წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთ თეორიულ საფუძველს და იგი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების ასახსნელად, ოღონდ მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად მსოფლიო რეალობა გაცილებით რთულია. საერთაშორისო წარმოება და ვაჭრობა განისაზღვრება საბაზრო მოთხოვნილებებით, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდებისა და სხვა, არამხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე და არც საერთო სარგებლიანობის საღ აზრზე.

პრობლემები საერთაშორისო ვაჭრობაში

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ნებისმიერი სუბიექტის წინაშე არსებობს მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემა:

- მართლაც შესაძლებელია საყოველთაო სარგებლის მიღება ყველა ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით?
- ქვეყნები ნამდვილად იმ საქონელს აწარმოებენ, რომელშიც შეფარდებით უპირატესობას ფლობენ?
- ქვეყნებმა მხოლოდ ის საქონელი უნდა აწარმოონ, რომელშიც შეფარდებით უპირატესობას ფლობენ? მოუტანს ასეთი წარმოება ამ ქვეყნებს ეკონომიკურ კეთილდღეობას?

და ა.შ.

ირკვევა, რომ აღნიშნულ კითხვებზე სასურველი პასუხების გაცემა სულ უფრო რთული ხდება. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აშშ-ში, კანადასა და სხვა ქვეყნებში დაიწყო მსჯელობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებში სახელმწიფო რეგულირების გამოყენების აუცილებლობაზე, რათა კანონმდებლობით დაეცვათ საკუთარი ქვეყნის ბაზარი საზღვარგარეთის ქვეყნების, პირველ რიგში, იაპონური საქონლის იმპორტისგან. შემდეგ გაჩნდნენ ახალი კონკურენტები სამხრეთ კორეადან, ტაივანიდან, ბრაზილიიდან, რამაც თითქმის პანიკა გამოიწვია ამერიკის ბიზნეს წრეებში. ამის გამო მრავალი კონგრესმენი აშშ-ში „პროტექციონისტი“ გახდა და იმპორტის აკრძალვასაც კი მოითხოვდნენ. აღარავის ახსოვდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და რიკარდოს მოდელი. მართალია, იმპორტის აკრძალვა არ მომხდარა, მაგრამ გარკვეული სახის პროდუქციზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. მეორე მხრივ, თვით იაპონიას, რომელიც საზღვარგარეთის ბაზრებზე თავისუფლად შეღწევას მოითხოვს, თავად იმპორტის საწინააღმდეგო ბარიერები აქვს დაწესებული.

რა უნდა მოიმოქმედოს ისეთმა პატარა ქვეყანამ და სუსტმა სახელმწიფომ, როგორიც საქართველოა, რომ არამხოლოდ გაუმკლავდეს შესაძლო ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ დაძლიოს ეკონომიკური ჩამორჩენა და გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, რომლის პოტენციალიც მას თითქოსდა გააჩნია.

საქართველოს ეკონომიკური ვითარება

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქვეყნის (მაშინ საბჭოთა რესპუბლიკის) განვითარების საკითხები საქართველოში არ წყდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკამ კატასტროფული დაღმასვლა განიცადა, რაც ძირითადად იმ დროს გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა განაპირობა, მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც სამეცნიერო და სახელმწიფო წრეების, ისე საზოგადოების მოუმზადებლობა ეცხოვრა ახალ ეკონომიკურ პირობებში. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ვერ აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მთავარი იყო ქვეყნის გამოყვანა ნგრევის ქაოსიდან, ქვეყნისთვის სახელმწიფოებრიობის ნიშნების მიცემა, რაც ნაწილობრივ შესრულდა კიდეც, 1996-97 წლებში შეინიშნებოდა ეკონომიკური გამოცოცხლება, რაც სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად, რისი მიზეზიც იყო, ერთი მხრივ, თვით მაშინდელი მთავრობის გაუბედავი მოქმედება, უუნარობა განეხორციელებინა რადიკალური რეფორმები, მეორე მხრივ იმდროინდელი ოპოზიციის დესტრუქციული ქმედება.

სააკაშვილის მმართველობამ სერიოზული ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებას, განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები, ქვეყანა იხრებოდა ე.წ. ლიბერტარიანული ეკონომიკისკენ, რომლის მთავარი იდეოლოგიც ცნობილი ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე გახლდათ. სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ **ლიბერტარიანული ეკონომიკა ამართლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რადიკალურ და ენერგიულ რეფორმებთან ერთად ქვეყანაში ნამდვილად დემოკრატიული წეს-წყობილებაა, რომლისთვისაც სრული მზადყოფნაა როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში**. როგორც ვნახეთ, რეალობა სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა. ქვეყანა იმართებოდა ავტორიტარული მეთოდებით, რასაც დაემატა 2008 წლის ხანმოკლე ომი რუსეთთან, რამაც კიდევ უფრო დააქვეითა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

დღეს ქვეყანა დემოკრატიული მმართველობის გზაზეა, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო მმართველობით (რაც თუმცა ერთგვარად ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობის მისაღწევად), არსებობს ქვეყნის განვითარების სტრატეგიული და რეალური გეგმები, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება კიდეც, მაგრამ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ოკუპირებული ტერიტორიები, უმუშევრობის მაღალი დონე, განუვითარებული მრეწველობა, საეჭვოს ხდის ქვეყნის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. **დღეს საქართველო 111-ე ადგილზეა მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით** და გვისწრებს როგორც ყველა ევროპული ქვეყანა, ასევე მთელი რიგი აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომელთაც, თითქოსდა არავითარი ეკონომიკური უპირატესობა არ გააჩნიათ.

საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები კარგად ჩანს საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემებიდან, კერძოდ, **„საქსტატის“ მონაცემებით, წელს საგარეო ვაჭრობაში დადებითი ტენდენციებია, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2017 წლის იანვარ-მარტში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 2,285 მლრდ დოლარი შეადგინა. მთლიანი სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტი 577 მლნ აშშ დოლარია და ერთი წლის განმავლობაში 30%-ით გაიზარდა**.

რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა, ექსპორტმა ზრდა დაიწყო. მაგრამ, საგულისხმოა აღინიშნოს, რომ **მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი ისევ რჩება ერთ-ერთ უმსხვილეს საექსპორტო საქონლად (5% მთლიან ექსპორტში), რაც დადებითად ვერ დაახასიათებს საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს**. ამასთან, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, პირველ რიგში ვახსენებთ ტურიზმის განვითარებას, სოფლის მეურნეობის წახალისებას, აქტივში ვითვლით იმასაც კი, რომ თურმე საზღვარგარეთიდან ქართული ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხა გაიზარდა და ახლა უკვე მილიარდ სამას მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც საქართველოს მშპ-ს თითქმის 8%-ს შეადგენს.

პატარა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

რას ნიშნავს ეს ციფრები? რა თქმა უნდა, ექსპორტის ზრდა უაღრესად დადებითი მოვლენაა, კარგია, რომ მოსახლეობა ღებულობს შემწეობას ემიგრანტი ნათესავებისგან, ტურიზმის ზრდაც კარგია, მაგრამ აქ არ ჩანს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდის წინაპირობა, ქვეყანა ვერ ქმნის ისეთ პროდუქტს, რაც მას მოწინავე ქვეყნების რიგში დააყენებდა. საქართველოში თითქმის არ არის ინდუსტრია, მრეწველობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, უამისოდ კი ყოველთვის მაჩანჩალა ქვეყნების რიგში ვიქნებით. არ არის ეს დარგები საქართველოს შეფარდებითი უპირატესობის ჩამონათვალში და რა ვქნათ? პასუხი *„მარტივია“* — **უნდა შევქმნათ, მოვიგონოთ ახალი შეფარდებითი უპირატესობანი,** როგორც ეს გააკეთეს საქართველოსავით პატარა და ოდესღაც საქართველოსთან შედარებით ღარიბმა ქვეყნებმა, როგორიცაა თუნდაც ფინეთი, ტაივანი, ესტონეთი, სლოვაკეთი და სხვ. ფინეთს თოვლის, ნაძვებისა და ირმების მეტი არაფერი გააჩნდა, მაგრამ დღეს მე-16 ქვეყანაა მშპ-ის (ერთ სულზე 44,852 დოლარი) მიხედვით და უახლესი ტექნოლოგიების მწარმოებელია, რომელსაც ვერაფერი დააკლო ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა; ტაივანი საქართველოსავით მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც ნაყოფიერია მხოლოდ ოკეანის პირას არსებული ვიწრო ზოლი, მაგრამ დღეს 37-ე ადგილზეა მშპ-ის (ერთ სულზე 22,684 დოლარი) მიხედვით და დღეს ტაივანზე იწარმოება კომპიუტერული ტექნიკის ლომის წილი. არც ტაივანს შეხებია დიდად ეკონომიკური კრიზისი. ესტონეთის მშპ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელი SKYPE-ით მიღებული შემოსავლებია (SKYPE შექმნილია ესტონელი პროგრამისტების მონაწილეობით). შესაბამისად, ესტონეთი 43-ე ქვეყანაა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით (17,896 დოლარი). ეკონომიკასთან უშუალო კავშირშია ის გარემოებაც, რომ ერთ დროს თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაც კი ამარცხებდა ესტონეთის საფეხბურთო ნაკრებს. დღეს რა ვითარებაა, კარგად ვიცით. საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3,908 დოლარია და ისეთი ქვეყნებიც კი გვისწრებს, რომელთა სავალალო ბედზე ცხარე ცრემლებით ტიროდა მთელი პროგრესული კაცობრიობა სულ ცოტა ხნის წინათ (გვატემალა, ერაყი, ნამიბია და სხვა მრავალი).

აღნიშნული სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია მნიშვნელოვანი გარდაქმნები და, პირველ რიგში, გარდაქმნა ეკონომიკური მიმართულების განსაზღვრის მიზნით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ორიენტაცია ქვეყანაში აღებულია რიკარდოს მოდელის მიხედვით იმ არსებულ ბუნებრივ უპირატესობებზე, რომელიც თითქოსდა გააჩნია ჩვენს ქვეყანას — ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ღვინო, ჩაი და ა.შ. სხვათაშორის, ტურიზმიც იმ ქვეყნებშია ყველაზე კარგად განვითარებული, სადაც სერიოზული ინდუსტრიაა — საფრანგეთსა და აშშ-ში.

გამოსავალი მხოლოდ ერთია — საქართველომ **უნდა განავითაროს მრეწველობა და ინოვაციური ტექნოლოგიები, მოიფიქროს შეფარდებითი უპირატესობის მოპოვების ახალი შესაძლებლობები,** როგორც ეს თავის დროზე გააკეთა თუნდაც ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინებას ჩაუყარა საფუძველი ჯერ კიდევ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს. ისტორიულად „დიდი აბრეშუმის გზას“ საქართველოსთან მეტად მცირე შეხება ჰქონდა, მაგრამ შევარდნაძემ დაარწმუნა მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები ახალი მარშრუტის საქართველოზე გავლის მიზანშეწონილობაში, რაც შემდეგ ტრასეკას პროექტში გადაიზარდა და თავისი დადებითი შედეგები იქონია საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში.

დღეს რისი მოფიქრება შეგვიძლია? რისი გამკეთებლები ვართ? იმედი მაქვს, ეს კითხვები არ არის მთლად რიტორიკული.

გიორგი ბალათურია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მიმდინარეობს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თბილისის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ იმსჯელეს, რომლის მიხედვითაც ტენდერებიდან მოძიებული რესურსების დიდი ნაწილი თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება.

როგორც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ წევრმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, 1 500 000 ლარით იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, აღნიშნული თანხები კი თბილისის 19 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოებში ასფალტის საფარისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობას მოხმარდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რის პასუხადაც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ დეტალურად გააცნო დამსწრე საზოგადოებას ბიუჯეტით განსაზღვრული ცვლილებები. ასევე წარმოადგინა პრეზენტაცია, რითაც დაასაბუთა ამ კონკრეტულ ბაგა-ბაღებში ინფრასტრუქტურული პრობლემების არსებობა და მათი გაუმჯობესების აუცილებლობა.

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია მაჟორიტარ დეპუტატებთან და თბილისის მერიის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან ერთად თვეებია მუშაობს, რათა თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილებებით გათვალისწინებულ იქნას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა და ბაგა-ბაღები ახალ სასწავლო წელს გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით შეხვდნენ.

ასფალტის საფარსა და სანიაღვრე სისტემებს რეაბილიტაცია №50, №89, №107, №135, №151, №185, № 190 , №13, №173 , №184 , №186 , №39, №40, №192, №167, №76, №111 , № 116, №196 ბაგა-ბაღებში ჩაუტარდება.

ივლისში თბილისს 40 საზაფხულო ბაღი მოემსახურება

ოჯახებს, რომლებიც ჯერ ვერ ახერხებენ შვილების ქალაქგარეთ გაყვანას, შესაძლებლობა აქვთ მათ რაიონში მოქმედი საზაფხულო ბაღების მომსახურებით უფასოდ ისარგებლონ.

საზაფხულო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 3 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

საზაფხულო ბაღების რეგისტრაცია, 19 ივნისს, 13.00 საათზე დაიწყება და 29 ივნისს დასრულდება. რეგისტრაცია იწარმოებს ელექტრონულად, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.kids.org.ge

საზაფხულო ბაგა-ბაღებში რეგისტრირებული აღსაზრდელები, მომსახურებას მიიღებენ მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისის თვეში და აღნიშნული რეგისტრაცია არ ეხება 2017-2018 სააღმზრდელო წელს.

საზაფხულო ბაღების სია რაიონების მიხედვით:
გლდანის რაიონი — №153, №48, №205, №216, №186
დიდუბის რაიონი — №11, №92, №23, №15
ვაკის რაიონი — №1, №27, №142, №83, ბაგა-ბაღი „ჩიორა“
ისნის რაიონი — №202, №29, №26, №215, №182
კრწანისის რაიონი — №51, №206
მთაწმინდის რაიონი — №170, №152, №162
ნაძალადევის რაიონი — №9, №79, №60, №143, №80
საბურთალოს რაიონი — №197, №171, №112
სამგორის რაიონი — №128, №12, №210, №45, №196, №72
ჩუღურეთის რაიონი — №34, №5.

გადახდის ახალი სისტემა მუნიციპალურ ტრანსპორტში

თბილისის მერია მუნიციპალურ ტრანსპორტში გადახდის ახალი სისტემის შექმნას გეგმავს. ახალი, თანამედროვე სისტემა მგზავრის კომფორტზე იქნება გათვლილი და მომხმარებელს საშუალებას მისცემს სწრაფი გადახდის აპარატებით, ბანკში და ინტერნეტ გვერდის საშუალებით შეიძინოს როგორც ერთჯერადი, ასევე ვადიანი სამგზავრო აბონენტები, რომლებსაც სისტემაში ჩართული ბანკები უზრუნველყოფენ.

სისტემის დანერგვის შემდეგ შესაძლებელი იქნება ავტობუსში გადახდისთვის მომხმარებელმა გამოიყენოს ქართული ბანკების მიერ გამოშვებული საბანკო ბარათები, სატრანსპორტო ბარათი, ასევე ვირტუალური გადახდის საშუალებები, როგორიცაა მობილური ტელეფონი ან სურვილისამებრ შეიძინონ სატრანსპორტო ბარათები.

ქართული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათებით გადახდისას მომხმარებელი დამატებით არ გადაიხდის საბანკო მომსახურების საკომისიოს. ამავე პროექტის ფარგლებში გამოიცვლება ავტობუსებში არსებული მოძველებული ვალიდატორები — გადახდის აპარატები, რომლებიც ახალი, თანამედროვე აპარატურით ჩანაცვლდება. ამასთან, მგზავრობის არსებული ტარიფი უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, ტურისტებს საშუალება ექნებათ, მგზავრობის ღირებულება როგორც საქართველოში გამოშვებული სატრანსპორტო ბარათებით, ასევე უცხოური საბანკო ბარათებით გადაიხადონ.

ახალი სისტემა მოიცავს დისპეტჩერიზაციის ავტომატურ სისტემასაც, რომლის საშუალებითაც მეტი სიზუსტით იქნება შესაძლებელი ავტობუსის განრიგის და მოსვლის დროის კონტროლი. დაიხვეწება საინფორმაციო ვებ გვერდი და მობილური აპლიკაცია.

სისტემის მოდერნიზაციაზე კონკურსის გამოცხადება უახლოეს დღეებში იგეგმება, ხოლო ახალი სისტემის შექმნასა და დანერგვაზე მუშაობა მიმდინარე წლის ივლისში დაიწყება და ერთი წლის თავზე სრულად ამოქმედდება.

გეო ჰოლდინგი

გადავიხდით თქვენს კრედიტს
საქართველოს
ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:
ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811
geo-holding.net
სამუშაო საათები:
ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე
შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

განცხადება

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ გიწვევთ

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაზე

„ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ“ 2016 წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფოსთან გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ საქართველოში, სოფელ ანაკლიაში ახორციელებს შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის პროექტს. პროექტის მიზანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა და განვითარება და შედეგად საქართველოს სატრანზიტო, სატრანსპორტო და ლოგისტიკური პოტენციალის გაზრდა.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ შეიმუშავა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის პროექტი. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების) გაცნობა საზოგადოების წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე: (ა) **შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ — მარჯანიშვილის ქ. №6, თბილისი 0102, საქართველო;** (ბ) **ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი — რუსთაველის ქ., სასტუმრო „პალმ ბიჩი“, სოფელი ანაკლია, საქართველო;** და (გ) **ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია — ზ. გამსახურდიას გამზირი №45, ქ. ზუგდიდი, საქართველო.** ამას გარდა, აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.anakliadevelopment.com

საზოგადოების წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების თაობაზე წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეუძლიათ წარადგინონ წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ მისამართებზე: (ა) **შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ — მარჯანიშვილის ქ. №6, თბილისი 0102, საქართველო;** და (ბ) **ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი — რუსთაველის ქ., სასტუმრო „პალმ ბიჩი“, სოფელი ანაკლია, საქართველო** ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: csr@anakliadevelopment.ge

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები მოეწყობა:

1. **2017 წლის 1 აგვისტოს 12:00 საათზე** ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში (მე-4 სართული). **მისამართი:** ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი №45.

2. **2017 წლის 2 აგვისტოს 12:00 საათზე** სოფელ ანაკლიაში, სასტუმრო „პალმ ბიჩის“ საკონფერენციო დარბაზში.

მისამართი: ს. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა, სასტუმრო „პალმ ბიჩი“.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვებზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

განცხადება

2017 წლის 16 ივნისს, 14 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ჩოხატაური, წერეთლის ქ. №2) გაიმართება ზოტის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის წინასწარი საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მდ. გუბაზეულის და მდ. ყვირილას ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ჰესებს კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

სს „ზოტი ჰიდროს“ ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თინათინ საყვარელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ საყვარელიძე (პ/ნ 01017008879), თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №5;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №5 (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.016.01.511).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 110915.12 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 23 ივნისი, 17:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** შპს „სიტროენ ჯორჯია“ (ს/კ 402033839), თბილისი, რაფიელ ერისთავის ქ. №6, ბინა 1;
გიორგი შარაშიძე (პ/ნ 01008033329), თბილისი, რაფიელ ერისთავის ქ. №6, ბინა 1.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 ივნისის 17:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ინეზა ლატარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ინეზა ლატარია (პ/ნ 42001034971), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150 (საკადასტრო კოდი: 04.02.10.349).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12281.69 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 8 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP44577817;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 445778
6. **მოვალე:** ინეზა ლატარია (პ/ნ 42001034971), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150;
კოლია თითიმერია (პ/ნ 42001028346), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP44577817; ლოტის ნომერი: 445778).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვალეხ ხაჯაევის და ნაზირ ხაჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვალეხ ხაჯაევი (პ/ნ 28001065003), მარნეული, ნარიმანოვის ქ. 4, ჩიხი №3;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ნარიმანოვის ქ. 4, ჩიხი №3 (საკადასტრო კოდი: 83.02.20.106).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაზირ ხაჯაევი (პ/ნ 28001024589), მარნეული, ნიზამის ქ. №17;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ნიზამის ქ. №15ა (საკადასტრო კოდი: 83.02.25.176).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. **უძრავი ნივთების გაყიდვის ფორმა:** უძრავი ნივთების გაყიდვა ხორციელდება ერთ ლოტად.
4. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 121496.08 ლარი.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 23 ივნისი, 17:45 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** სიავუშ ხაჯაევი (პ/ნ 28001011847), მარნეული, ნარიმანოვის 3, ჩიხი №4;
ვალეხ ხაჯაევი (პ/ნ 28001065003), მარნეული, ნარიმანოვის ქ. 4, ჩიხი №3;
ნაზირ ხაჯაევი (პ/ნ 28001024589), მარნეული, ნიზამის ქ. №17;
ვიდადი იბრაგიმოვი (პ/ნ 28001019756), მარნეული, უიარაღოს ქ. №3, ბინა 2/მარნეული, ჟდანოვის ქ. №3.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 ივნისის 17:45 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მამად ავტალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამად ავტალოვი (პ/ნ 36001013051), საგარეჯო, სოფელი ლამბალო.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რაიონი, სოფელი ქეშალო (საკადასტრო კოდი: 55.22.53.120).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13519.15 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 8 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 ივნისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP44578017;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 445780
6. **მოვალე:** მამად ავტალოვი (პ/ნ 36001013051), საგარეჯო, სოფელი ლამბალო;
ისმიხან ავდალოვი (პ/ნ 36001010904), საგარეჯო, სოფელი ლამბალო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP44578017; ლოტის ნომერი: 445780).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე"	ბიჯი	მონაწილის ბილეთის ფასი
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასამხრალში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	2371	53.04.42.104	1897	570	190	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	6087	53.14.35.039	4870	1461	487	30
ლოტი №3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	1000	53.10.40.343	800	400	150	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისადებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბეს" გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 08 ივნისიდან 2017 წლის 07 ივლისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 07 ივლისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით, იჯარით გადაცემის შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს უპირობო საჯარო აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი წლიური (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	60 796	53.04.44.088	2432	730	240	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	22 667	53.09.41.021	800	240	80	30

2. დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე.

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 15 წლით.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე სარგებლობის უფლებით აღებული ქონების წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, გამარჯვებულს არ მიეცემა სარგებლობის უფლება, „ბე"-ს თანხა არ დაუბრუნდება და სხვა ხარჯები არ აუნაზღაურდება.

5. აუქციონში მონაწილეობის მისადებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე" ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

7. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების სარგებლობის უფლებით ასაღებად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 08 ივნისიდან 2017 წლის 07 ივლისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 07 ივლისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

9. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

თურქეთში დაკავებები გრძელდება

თურქეთში ამნესტი ინტერნეიშენალის ბიუროს ხელმძღვანელი დააკავეს. ტანერ კილჩს 15 ივლისის არშემდგარ სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობას სდებენ ბრალად. მასთან ერთად სამართალდამცველებმა ორგანიზაციის 22 თანამშრომელი დააპატიმრეს. მომხდარის გამო შეშფოთება გამოთქვა ამნესტი ინტერნეიშენალის გენერალურმა მდივანმა. ხალილ შეტიმ ანკარას დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

მაკრონი ძალიან მგავსო

ნიკოლა სარკოზი ირწმუნება, რომ ემანუელ მაკრონი მას ჰგავს. ვრცელი ინტერვიუ საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა კანარ ენშანს მისცა. „ეს ბიჭი არაჩვეულებრივია. თუ ის იმავე შეცდომებს არ გაიმეორებს, რაც მე დავუშვი, ძალიან შორს წავა და ჩვენ მის შეჩერებას ვერ შევძლებთ. მაკრონი- ეს მე ვარ, მხოლოდ ის უკეთესია," — აცხადებს სარკოზი.

აღმოჩენილია ყველაზე ცხელი პლანეტა

დედამიწიდან დაახლოებით 650 სინათლის წლით დაშორებული პლანეტა აღმოაჩინეს, რომლის ზედაპირზეც ტემპერატურა 4 ათას 300 გრადუსია. ჟურნალ „Nature"-ში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, იუპიტერის მსგავსი „KELT-9ი"-ის სახელწოდების პლანეტა KELT-9-ის ვარსკვლავის ორბიტაზე შემობრუნებას დედამიწის 1,5 დღეში ასრულებს. იუპიტერზე 2.8-ჯერ დიდი პლანეტის საკუთარი მასა კი იუპიტერის ნახევარია. არიზონას შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე Winer-ის ობსერვატორიის ტელესკოპ KELT-ის გამოყენებით აღმოჩენილი KELT-9ი-ს ორბიტაზე მბრუნავი KELT-9 ვარსკვლავი მზეზე ორჯერ დიდი და ორჯერ უფრო ცხელია.

უფასო ბილეთები ტურისტებისთვის

იტალიის ეროვნულმა სარკინიგზო ოპერატორმა Trenitalia პროექტ Al Mare In Treno-ს („ზღვაზე მატარებლით") განხორციელება დაიწყო, რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტებს, უფასო ბილეთები მიიღონ. თუ კი ტურისტი დასასვენებლად ჩადის იმ სასტუმროში, რომელიც პროექტშია ჩართული, მაშინ Trenitalia მათ უბრუნებს თანხას, რაც მათ კურორტზე ჩასვლისთვის მატარებლის ბილეთში გადაიხადეს. პროგრამა ემილია-რომანიას რეგიონის სასტუმროებზეა ორიენტირებული.

ჯორჯ და ამალი ქლუნეებს ტყუპები შეეძინათ

ამალი ქლუნმა ტყუპები გააჩინა. ამის შესახებ პრესას ქლუნების ადვოკატმა აცნობა. მისივე ინფორმაციით, ჯორჯ ქლუნის მეუღლემ გუშინ დილით იმშობიარა. ახალშობილებს ელა და ალექსანდრი დაარქვეს. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყვილი მატებას ელოდა, იანვარში გავრცელდა, როდესაც ფეხმძიმე ამალი ერთ-ერთ წვეულებაზე ფოტოგრაფებმა გადაიღეს. წყვილმა 2014 წლის სექტემბერში იქორწინა.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ფესტივალი მასტერკლასებმა დაამშვენეს

ფესტივალ „ნატახტარის ლიმონათის თასის“ ფინალურ ეტაპზე მონაწილე სკოლების მოზარდებს მასტერკლასები სამოასა და არგენტინის ნაკრებების წევრებმა ჩაუტარეს

მარტყოფში, რაგბის გადამზადების ცენტრში ფესტივალის მონაწილე ფინალურ ეტაპზე გასული სკოლების მოზარდთა საჩვენებელი ვარჯიში მოეწყო. მათ მასტერკლასები მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფარგლებში საქართველოში სტუმრად მყოფმა სამოასა და არგენტინის ნაკრებთა წევრებმა ჩაუტარეს. დასასრულს პროექტის „ჩაერთე რაგბიში“ ფარგლებში სკოლებს შორის საჩვენებელი თამაში გაიმართა.

ხოსე მიგელ გოროთხათეგუი, პროექტის „ჩაერთე რაგბიში“ ევროპის ქვეყნების მენეჯერი: “ძალიან მაგარი ღონისძიება გვაქვს. სამოას ეროვნულმა გუნდმა და არგენტინის ნაკრების წევრებმა ქართველ ბავშვებთან ერთად ითამაშეს და მათ მა-

ღალი კლასის მასტერკლასები ჩაუტარეს. ამ მეგობრული შეხვედრით როგორც ბიჭები, ასევე გოგონებიც ძალიან გახარებულნი არიან“.

გოჩა სვანიძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი: „პროექტის „ჩაერთე რაგბიში“ პრეზენტაცია შემოდგომაზე გაიმართა, რომლის ფარგლებში 2017 წლიდან თბილისის ყველა სკოლის მასშტაბით დაიწყო ფესტივალი „ნატახტარის ლიმონათის თასი“. საკმაოდ, მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც „ევროპარაგბის“ რეკომენდაციითა და სტანდარტებით, ასევე „ნატახტარის“ მხარდაჭერით ხორციელდება. ეს არის უპრეცედენტო შანსი მოზარდებისთვის. ფესტივალის გამარჯვებული შემოდგომაზე ესპანეთში გაემგზავრება და ანალოგიურ ტურნირში იქაც მიიღებს მონაწილეობას“.

დავით კაჭარავა, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი: „სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია ახალ თაობაში, პროექტის საშუალებით კი უფრო ბევრმა მოზარდმა შეძლო ჩართულიყო რაგბიში. თუ ბოლომდე არ გაყვებიან სპორტის საყვარელ სახეობას, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარნი მაინც იქნებიან ყოველთვის. ეს პროექტი უფრო მეტ პოპულარიზაციას გაუწევს რაგბის და გრძელვადიან ჭრილში უფრო დიდ წარმატებას მოუტანს ქვეყანას მორაგბეების სახით. პროექტის მიზანსაც სწორედ მოზარდთათვის სპორტის ამ სახეობის უკეთ გაცნობა, თამაშის პრინციპების შესწავლა და მორაგბეთა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს“.

შეგახსენებთ, რომ პროექტი „ჩაერთე რაგბიში“ (Get into Rugby) „ევროპარაგბის“ რეკომენდაციითა და სტანდარტებით ხორციელდება. პროექტის მიზანია რაგბის, როგორც სპორტის სახეობისა და ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტში ჩართულნი არიან სკოლის მოწაფეები, წესებიც მათზე მორგებული და უსაფრთხოა. პროექტში ჩაბმული იყო 118 სკოლა თბილისის მასშტაბით, ჯამში 7080 ბავშვი. ტურნირში მონაწილეობდა 53 გუნდი, გადამზადდა ფიზკულტურის 86 მასწავლებელი, 20 ინსტრუქტორი, ამ ხნის განმავლობაში გაიმართა 9 ფესტივალი, ფინალურ ტურნირზე გავიდა 8 საუკეთესო გუნდი, გაიმარჯვა 192-მა სკოლამ (მე-6 კლასელები).

ბეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-18 ჩემპიონატი, რომელშიც 38 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი, მათ შორის — ათი ქართველი, მონაწილეობს.

ლიდერებს კვალში ვუდგავართ

მე-7 ტურში ლიდერთა და ქართველთა ორთაბრძოლები ასე დასრულდა: იგორ კოვალენკო (ლატვია) — მაქსიმ მატლაკოვი (რუსეთი) 0.5:0.5, ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) — დანიელ ფრიდმანი (გერმანია) 0.5:0.5, დავიდ ჰაუელი (ინგლისი) — ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი) 1:0, იური კუზუბოვი (უკრაინა) — დავიდ ანტონი (ესპანეთი) 0:1, დიმიტრიოს მასტროვასილისი (საბერძნეთი) — დანიილ დუბოვი (რუსეთი) 0.5:0.5. გავაინ ჰიონესი (ინგლისი) — ლევან ფანცულაია 1:0, ემილ სუტოვსკი (ისრაელი) — დავით ჯოჯუა 0.5:0.5, ლუკა პაიჭაძე-კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი) 0.5:0.5, ბაადურ ჯობავა-სამველ ტერ-საკიანი (სომხეთი) 1:0, თამაზ გელაშვილი-ფერენც ბერკეში (უნგრეთი) 1:0, ევგენი რომანოვი (რუსეთი) — ზურაბ სტურუა 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი-ოლგა გირია (რუსეთი) 1:0, თორნიკე სანიკიძე-ანტონ კორობოვი (უკრაინა) 1:0, ბურაკ ფირატი (თურქეთი) — ნოე თუთისანი 0:1, ფიონა სტელ-ანტონი (ლუქსემბურგი) — მერი არაბიძე 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ჰაუელი და ანტონი დაწინაურდნენ. 11 მონაწილეს 5.5-5.5 ქულა აქვს, ხოლო ლიდერებს თითო ქულით მოჭადრაკეთა დიდი ჯგუფი ჩამორჩება, რომელთა შორის არიან ქართველებიც — ჯობავა, გელაშვილი, მჭედლიშვილი, ჯოჯუა და პაიჭაძე. სანიკიძემ 4.5, ფანცულაიამ, სტურუამ და თუთისანმა კი 4-4 ქულას მოუყარეს თავი, არაბიძეს 3.5 ქულა აქვს.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

ლეძსო ციცაძე

◎ ლეგიონერი

პრიმერა ვადამდე დასრულა

თორნიკე შენგელიამ სეზონი დასრულა. ქართველი ფორვარდის კლუბი „ბასკონია“ ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალში „ვალენსიასთან“ დამარცხდა. სერიის მე-4 შეხვედრა, რომელსაც ვალენსიელებმა უმასპინძლეს, შენგელიას გუნდმა 77:85 წააგო და სერია საერთო ანგარიშით 1:3 დათმო.

ქართველი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თოკომ 9-დან 3 ორქულიანი, სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 26:49 წუთში 12 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ შენგელიას ბურთი არ დაუკარგავს, ერთხელ დაუფარეს, მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 5-ჯერ დაირღვა. ამასთან, ქართველი ლეგიონერის მოედანზე ყოფნის პერიოდში „ბასკონიამ“ „ვალენსიაზე“ 3 ქულით მეტი ჩააგდო. თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ ამერიკელ რიკი ლედოს (21) ჩამორჩა, რომელმაც 28:41 წუთში 17 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

ესპანეთის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში „ვალენსიას“ მეტოქე მადრიდის „რეალი“ იქნება, რომელმაც ნახევარფინალური სერია მალაგის „უნიკახას“ 3:0 მოუგო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

ღირსება - კალმით

21-ე საუკუნეში, როცა ინტერნეტმა წალეკა საინფორმაციო სივრცე და წიგნი გერის როლში მოექცა, თითოეული კრებული, რომ იტყვიან, ოქროდ ფასობს, მეტადრე იმ შემთხვევაში, თუ მას პროფესიონალი ავტორ-შემდგენლის კვალი ეტყობა.

სწორედ ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნუგზარ შატაიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, პოპულარულ სპორტულ ჟურნალისტ ლაშა გოდუაძის კიდევ ერთი საფეხბურთო ნაღვაწი „ბასკეტით დაწყებული ისტორია“ რომელშიც თბილისის „დინამოს“ მიერ 1936 წლიდან დღემდე განვლილი 80 წლის განმავლობაში გამართული საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ერთ მძივადაა აკინძული და ყველაზე პოპულარული ქართული კლუბის ქომაგთათვის ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ეგიდით გამოცემული, საარქივო ფოტოებით უხვად ილუსტრირებული ნაშრომის რედაქტორია ილია ბაბუნაშვილი, არტ-რედაქტორი — ზაზა ასანიშვილი, ხოლო კორექტორი — კობა ინასარიძე.

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში შეკრებილმა საზოგადოებამ სათანადო პატივი მიაგო კოლეგასა და მეგობარს, რომელსაც მორიგ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

როენას აჩრდილი

კოლუმბიის მიწის შვილი, მომღერალი შაკირა სანამ კატალონიის „ბარსელონას“ მცველის ხერარდ პიკეს ცოლი გახდებოდა, მავან ესპანელ ბიზნესმენს ხვდებოდა და მათი ტრფიალების ამბებიც ყველასათვის ცნობილი იყო. ახლა ის ამბავი, ცხადია, დასრულებულია, მაგრამ მოგონებებს სად წავუვალთ?

ცოტა ხნის წინათ შაკირას მედიის წარმომადგენელთათვის სპეციალური განმარტების გაკეთება მოუწია იმასთან დაკავშირებით, რომ მას ხერარდი ძველებურად უყვარს და არათუ ცხადში, სიზმარშიც კი არ უფიქრია ბურთის მგორებელი ქმარი ძველ გულისსწორზე გაეცვალა.

საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე „ყვითელმა“ მოკალმეებმა შაკირა სწორედ მის ძველ სატრფოსთან ერთად იხილეს და ამ ამბავს, ცხადია, ჭორთა ზღვაც მოჰყვა. შაკირა კიდე ირწმუნება, უბრალოდ მივესალმე ნაცნობ ადამიანს და ყველას ვისაც კი მივესალმები, რომ დავუწვე — ქალბატონი როენა ხუცურაულის დაწესებულების თანამშრომელი ვიქნებიო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სეზონის ფინიშზე

ჩემპიონთა ლიგის სიმბოლური

უეფას ჩემპიონთა ლიგის 2016-2017 წლების გათამაშება მადრიდის „რეალის“ ტრიუმფით დასრულდა. შესაბამისად, ევროპული ფეხბურთის მმართველმა უწყებამ უკვე გამოავლინა განვლილი სეზონის სიმბოლური ნაკრები, თუმცა, იგი მხოლოდ 11 რჩეულისგან არ შედგება და მასში 18 ფეხბურთელი მოხვდა.

ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტი წარმომადგენელი სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ჩემპიონს ჰყავს — 8 მოთამაშე, დანარჩენი 10 ადგილი კი „იუვენტუსმა“, „ატლეტიკომ“, „ბარსელონამ“, „ბაიერნმა“ და „მონაკომ“ გადაინაწილეს.

ჩემპიონთა ლიგის სეზონის სიმბოლური ნაკრები შემდეგნაირია:

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“), იან ობლაკი („ატლეტიკო“).

მცველები: ლეონარდო ბონუჩი („იუვენტუსი“), დანი კარვახალი („რეალი“), მარსელო („რეალი“), სერხიო რამოსი („რეალი“), დიეგო გოდინი („ატლეტიკო“).

ნახევარმცველები: კაზემირო („რეალი“), ტონი კროოსი („რეალი“), ლუკა მოდრიჩი („რეალი“), ისკო („რეალი“), მირალემ პიანიჩი („იუვენტუსი“). ტიემუ ბაკაიოკო („მონაკო“).

თავდამსხმელები: კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“), ლიონელ მესი („ბარსელონა), ანტუან გრიზმანი („ატლეტიკო“), კილიან მბაპე ლოტინი („მონაკო“), რობერტ ლევანდოვსკი („ბაიერნი“).

მანუჩარ გიორგაძე

ეპიტაფია

ვალმოხდილი მამულიშვილი

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, მაღალი რანგის პროფესიონალი, ღირსეული მამულიშვილი **შოთა დავითის ძე კიკალიშვილი**.

იგი დაიბადა 1934 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში. სწავლისადმი, შრომისადმი, ადამიანისადმი სიყვარული და ურთიერთობა ახალგაზრდობის წლებიდან დაჰყვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ინიშნება მცხეთის რაიონის წეროვნის მეურნეობის ეკონომისტად, გარკვეული დროის შემდეგ მას აწინაურებენ საქართველოს სახალხო კონტროლის აპარატში, სადაც ფართოდ გამოჩნდა მისი ნიჭი.

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის წინაშე დადგა ურთულესი პრობლემების გადაწყვეტის ამოცანა. საჭირო გახდა კვალიფიციური კადრების, დარგის წარმატებული სპეციალისტების მობილიზება. შოთა კიკალიშვილი სათავეში ჩაუყენეს სამინისტროს ცენტრალურ სტრუქტურას, მთავარ საგეგმო სამმართველოს. ამ თანამდებობაზე შოთა კიკალიშვილის მუშაობა უნდა შეფასდეს როგორც ნოვატორული, დროის ახალი გამოწვევის შესაბამისი სტილის მიღწევისა.

შემდგომ პერიოდში, მართვის რეორგანიზაციის პირობებში, რაც აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდა, შოთა კიკალიშვილი დიდი გამოცდილებისა და პერსპექტიული ხედვების მქონე ორგანიზატორის როლს ასრულებდა ქვეყნის სასიცოცხლო სფეროს აგრარული სექტორის განვითარებაში. არ დარჩენილა დარგის განვითარების არცერთი მიმართულება, მისი ნააზრევი რომ არ იყოს გათვალისწინებული. იგი სხვებთან ერთად იყო ინიციატორი დარგის განვითარებაში მატერიალური სტიმულირების გამოყენებისა. მაშინ მიმდინარე ექსპერიმენტების რეგულირების პროცესში იგი გამოჩნდა როგორც მოღვაწე, რომელსაც კარგად ესმოდა არა მარტო ერთი სფეროს განვითარების მნიშვნელობა, არამედ სახელმწიფოებრივად აცნობიერებდა ეროვნული ეკონომიკის კომპლექსურად განვითარების მნიშვნელობას.

ბატონი შოთა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივში, საზოგადოებაში, საქართველოს რეგიონებში, მან დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის, აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აღსანიშნავია ბატონი შოთას მოღვაწეობა საპატრიარქოში, სადაც იგი კვალიფიციურად წყვეტდა სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

როგორც პროფესიონალი, ბატონი შოთა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. იგი რამდენიმე წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია. აღიარებული იყო ეროვნული ეკონომიკის პრობლემებზე ფრიად ღირებული ნაშრომებით. ბოლო პერიოდში იგი მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში მრჩეველად.

გამორჩეული იყო პიროვნული ხიბლით, მაღალი პასუხისმგებლობით, ფართო ერუდიციით, კომპლექსური პრობლემების კვლევითა და პრაქტიკაში დანერგვის უნარით.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მამულიშვილი, მაგრამ დატოვა სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ხალხს, შენს ქვეყანას.

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბაკურ გულუა, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, ვალერი ჭანტურია, რაულ ჯახია, გრიგოლ ონიანი, კოკი ბაძრაძე, იგორ ქოგალია, ლერი ჭითანავა, ენვერ ჩიქავა, ოთარ ჭითანავა, სულიკო ინაიშვილი, თინა ჯლამაძე, რეზო ღვინჯილია, გივი აბზიანიძე, ნუგზარ ნადარაია, კახა არდია, ჯემალ კვირტია, გივი სოსელია, ზურაბ გოგოხია, ვაჟა ფიფია, კარლო წულაია, თამაზ კუნჭულია, ომარ კაჭარავა, გურამ ფიფია.

ხსოვნა

შოთა კიკალიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, საქმის პროფესიონალი, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი და უაღრესად ერუდირებული ადამიანი შოთა დავითის ძე კიკალიშვილი.



დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სოფლის მეურნეობის ეკონომისტის სპეციალობით. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო რიგით სპეციალისტად „სამტრესტის“ სისტემაში, რის შემდეგაც მანქანათა საგამოცდო სადგურის საცდელი მეურნეობის მთავარ ეკონომისტად დააწინაურეს. შემდეგ იყო საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში პასუხისმგებელი მუშაკი, ხოლო 1975 წლიდან — სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, საქაგრომრეწვში, სოფლის მეურნეობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი, აგროსამრეწველო წარმოების მართვის ორგანიზაციის, პრივატიზაციისა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვის მთავარი სამმართველოს უფროსი, სტრატეგიული განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ბოლო წლებში ბატონი შოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი გახლდათ და წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდა კოლეგებს.

დიდია მისი დამსახურება ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით საქმიანობაში, როგორებიცაა საქართველოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, საზოგადოებრივ მეურნეობებში სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურების ნარგაობის ზრდა, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მშენებლობა.

საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი სერიის „ჩვენი ეროვნული ფასეულობების“ ერთ-ერთი ტომისთვის — „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ მასალების შეკრებასა და გამოსაცემად მომზადებაში.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ბატონი შოთას შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე, პრინციპულობა, განსწავლულობა და ერუდიცია, ქართული ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა და ერთგულება, მეგობრების სიყვარული.

სამწუხაროა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის სამშობლოს ჭირ-ვარამისა და მიღწევების უანგარო გამზიარებელი, უღალატო მეგობარი, უზომოდ შეყვარებული მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა შოთა კიკალიშვილი.

ბატონი შოთა დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, რომლებსაც მუდამ ემახსოვრებათ ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილის სახელი და ამაგი.

მეგობრები

გულწრფელი სამადლობელი

გუშინ შესრულდა ცხრა დღე ჩემი მეუღლის

ლეილა სულაკაძის

გარდაცვალებიდან, რომელიც 57 წელი გვერდში მედგა ჩემს უმძიმეს საპასუხისმგებლო საქმიანობისას, მაქეზებდა, მამხნევებდა მეტალურგების ქვეყნისა და ხალხისათვის მრავალი აქტუალური პრობლემის გადაწყვეტისას ზესტაფონში, რუსთავში, ბაღდათსა და თბილისში.

მე და ჩემი შვილები, შვილიშვილები, მძახლები უღრმეს მადლობას ვუხდით ყველას: კოლეგებს, მეზობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის პრობლემებით, საერთო საქმეებით უზომოდ დაკავებულ საზოგადო მოღვაწეებს, ვინც თავი შეიწუხა, მობრძანდა, მოგვისამძიმრა და გვანუგეშა ჩვენი ოჯახის უმძიმესი მწუხარებისას.

გურამ, ბენო, თეა ქაშაკაშვილები, გოგი, ია უგრეხელიძეები, გიორგი, ლალი ჯოხაძეები

სანთელი



რძალი ნათელა ქარჩავა, ძმისშვილები მზია, ირა, ნაზი, შორენა, ბესიკ გვილიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან მაზლისა და ბიძის, დამსახურებული პედაგოგის

ჟორჟი ვასილის ძე გვილიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 VI, დაკრძალვა 10 VI, ზუგდიდის რაიონის სოფელი ყულიშკარი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას შორენა გვილიას ბიძის

ჟორჟი გვილიას

გარდაცვალების გამო.

სოციალურად დაუცველებს ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო დახმარება აღარ შეუჩერდებათ

ოჯახის წევრის გარდაცვალება სოციალური შემწეობის შეჩერების მიზეზი აღარ გახდება. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯანდაცვის სამინისტრომ პარტია „ახალი საქართველოს“ ინიციატივაზე დაყრდნობით მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, თუ ოჯახის რომელიმე წევრი გარდაიცვლებოდა, მთელს ოჯახს დახმარება უჩერდებოდა და პროცედურის გავლა შემწეობის მისაღებად თავიდან უნდა დაწყებულიყო.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელს მანქანა დაეჯახა

მოქალაქე, რომელიც „ვოლვოს“ მარკის ავტომობილს მართვდა საპატრულო პოლიციის 2 მანქანას, შემდეგ კი ქვეითად მყოფ სამართალდამცავს დაეჯახა.

მოქალაქე ავტომობილს მართვის მოწმობის გარეშე მართავდა.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი წერს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მუხთარლის საქმე სრულად არის გამოსაძიებელი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარეები ბორის სილევიჩი (ლატვია) და კერსტინ ლუნდგრენი (შვედეთი) საქართველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცების გამოძიებისკენ მოუწოდებენ. ამის შესახებ განცხადება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვებგვერდზე ვრცელდება.

როგორც განცხადებაში ვკითხულობთ, თანათავმჯდომარეები აღშფოთებას გამოთქვამენ მუხთარლის სავარაუდო გატაცებისა და აზერბაიჯანის საზღვარზე „უკანონო გადაყვანის“ გამო. ისინი საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ, სრულად იქნეს გამოძიებული ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ბრალდება. ასევე მოითხოვენ, რომ გამოძიების შედეგების შესახებ მოხდეს მათი ინფორმირება.

განცხადებაში ასევე წერია, რომ თანათავმჯდომარეები მიმდინარე საქმეს თვალყურს ადევნებენ.

ქართველ მხატვართა წარმატება ამერიკაში

ქართველი მხატვრები აშშ-ში წარმატებებს აღწევენ. ამჯერად Madatart-მა მანჰეტენზე Jadite Galleries-ში 10 ქართველი მხატვარი გამოფინა.

ამერიკული არტპრომოუშენ კომპანია Madatart ამერიკაში ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას აქტიურად ეწევა. კომპანიის ხელმძღვანელმა მარიტა დამენიამ ერთი წლის განმავლობაში ქართველი მხატვრებისა და სკულპტორებისთვის რვა პროექტი განახორციელა. ბოლო პროექტი Jadite Galleries-ში გამართული ჯგუფური გამოფენა, 3 ივნისს დასრულდა.

გამოფენაში მონაწილე ათივე ხელოვანის ნამუშევარმა საზოგადოების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა. თათია კობრეშვილმა, ეკატერინე კიკნაძემ, ნანა გაგოშიძემ, გიორგი კობიაშვილმა, ნანა ჩიხლაძემ, მაკა ბერაძემ და ნინო ქურდაძემ გამოფენაზე თავიანთი ნახატები წარადგინეს, ხოლო ვანო ზაქაიძემ, ანა ქურციკიძემ და ლეილა ქურციკიძემ — ტყავის აქსესუარები, ჩანთები და ვერცხლის და მინანქრის სამკაული. გამოფენაში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მხატვარი ეთერი ჭკადუა, ძმასთან გოჩა ჭკადუასთან ერთად (Eteri and Gocha Chkadua Studio), ALIEN BLOOM — პლასტმასის ბოთლებისგან შექმნილი ულამაზესი ყვავილები, გალერეის ცენტრში ულამაზესი ბაღის ილუზიას ქმნიდა.

გამოფენისთვის ნამუშევრების შერჩევისას ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მხატვრის ნიჭი და კრეატიულობა.

„ცხადია ასაკის მატებასთან ერთად ისინი მეტად დახვეწილები ხდებიან, მაგრამ ზოგჯერ ძალიან პატარებს, თავიანთი კარიერის საწყის ეტაპზე შეუძლიათ გაგაოცონ. ერთ მაგალითს გეტყვით ამ გამოფენაში მონაწილეობდა 21 წლის ნანა ჩიხლაძე, ემიგრანტი ქართველი, რომელიც არაჩვეულებრივ ნამუშევრებს ქმნის. მისი ერთი ნახატი გამოფენის გახსნისთანავე შეიძინეს. მომდევნო დღეებში, გალერისტები გვყავდა სტუმრად და ძალიან გაოცდნენ, როცა მისი ასაკი შეიტყვეს, ბეიბი ნანა შეარქვეს.

ასევე არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს სამხატვრო აკადემიის დიპლომის ქონა. ნანა გაგოშიძე, თათია კობრეშვილი, ნინო ქურდაძე თვითნასწავლი ხელოვანები არიან. ნანა ისეთ საოცრებებს ქმნის ქართული აბრეშუმით და სხვა ნატურალური მასალით, თავლს ვერ მოაცილებთ. თათია, დიდი ზომის აბსტრაქტულ ტილოებზე მუშაობს, თავისი ფერთა პალიტრით, ნამუშევრებთან მიდგომით რომ ძალიან მოკლე დროში გახდა პოპულარული, როგორც საქართველოში ისე ამერიკაში.

ქართული მხატვრობის პოპულარიზაცია ამერიკაში ისევ გრძელდება. სულ მალე მედეთარტი ემიგრანტი ქართველი მხატვრის ცირა ახობაძის პერსონალურ გამოფენას, ხოლო და ამის შემდეგ კვლავ ქართველი მხატვრების ჯგუფურ გამოფენას გამართავს“, — განმარტავს Madatart-ის ხელმძღვანელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სექტემბრიდან მიმოქცევაში ახალი ხუთლარიანი შევა

2017 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში 5 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტებს გაუშვებს, ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ლარის განახლების პროცესი გრძელდება. 20, 50 და 100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტებს 5 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი შეემატა.

განახლებული 5 ლარი მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია თავდაპირველი თემატიკა: წინა მხარეს გამოსახულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით.

ბანკნოტის უკანა მხარეს რევერსზე გამოსახულია ნიკო ფიროსმანის ტილოები — „მეთევზე წითელ პერანგში“ და „კალო“. ასევე, საქართველოს სახელმწიფო გერბი.

5 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

10 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტი მოგვიანებით გამოვა, რაზეც საქართველოს ეროვნული ბანკი მოახდენს მოსახლეობის ინფორმირებას.

სტრიპ-შანტაჟი

ისრაელის ავიაკომპანიის თვითმფრინავი ტელ-ავივიდან იტალიის ვერონაში მოფრინავდა. 160 მგზავრს შორის 120 კაცი რელიგიური სეფარდები იყვნენ უამრავი შვილით, რომლებიც სავარძლებს შორის გასასვლელებში დარბოდნენ და ერთი ჟივილ-ხივილი ჰქონდათ ატეხილი, მშობლები კი მათ დაშოშმინებას ვერ ახერხებდნენ, რის გამო სალონში საშინელი ხმაური იყო.

ბოლოს, დიდი ხნის მანძილზე დაძინების ამაოდ მცდელობების შემდეგ, ერთ-ერთი მგზავრი, დაახლოებით 30 წლის ახალგაზრდა ქალი, ადგა, მგზავრებს მოუტრიალდა და ნელა ჯერ პერანგი, მერე კი აზღუდი გაიხადა... ყველა სეფარდი უმალ გაყუჩდა და თვალებზე ხელი აიფარა, თან ბავშვებს თავები თავიანთ მუხლებში ჩაარგვევინა.

უცბად ჩამოვარდნილ სიჩუმეში კი ქალმა განაცხადა, რომ თუკი მას დაძინების საშუალებას არ მისცემენ და ისევ იხმაურებენ, ის ჯინსსაც გაიხდის.

ვერონაში ჩასვლამდე თვითმფრინავში სამარისებული სიჩუმე სუფევდა.

ქალთა სამეფო

ტიბეტში, ჩინეთთან საზღვრის მახლობლად, 40-ათასიანი მუსუოს ტომი ბინადრობს, რომელსაც „ქალთა სამეფოს“ უწოდებენ.

იქაურ გლეხურ ყოფაში ტრადიციული ოჯახები არ არსებობს, ყველა ზრდასრულ ქალსა და კაცს არჩევანისა და პარტნიორის შეცვლის სრული თავისუფლება აქვს. შეუღლების სანაცვლოდ მამაკაცი თავისი რჩეული ქალბატონის სახლს ღამ-ღამობით — ფარულად ან დაუფარავად სტუმრობს.

სპორტული „სიზარმაცის“ მიზეზი

მეცნიერებმა გაარკვიეს, თუ რატომაა, რომ ქალები სპორტს ნაკლებად მისდევენ.

ევოლუციის პროცესში მამაკაცები, მოქიშპეებზე უპირატესობის მოსაპოვებლად, იძულებულნი იყვნენ, ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაზე ეზრუნათ. ქალები უპირატესობის მოსაპოვებლად, კი არ მეტოქეობდნენ, არამედ ერთიანდებოდნენ, ამიტომაც სხეულის კუნთოვანი მასის მოცულობის მატება მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4086; ევრო - 2.7092;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1078;
100 რუბლი - 4.2469; თურქული ლირა - 0.6804;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4273;
1000 სომხური დრამი - 4.9971.

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge